ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

gfhfcrtdb7 ( vfbcb7 @)!$ 1108 (6419) afcb5 #) stshb

9 მაისიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

მგლის ბილიკი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



# ირაკლი ალასანია ყველაზე პოპულარული მინისტრია



ნინო ბურჯანაძე თავდაცვის მინისტრის იმპიჩმენტს ითხოვს

გვ.3



## დემურ გიორხელიძე: წელიწად-ნახევარია, მთავრობა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს“

გვ.2



## მუხროვანის საქმეზე ლევან ტაბიძე დააკავეს გვ.2



გვ.4

დავით ბაქრაძე: ჩვენ სიღარიბეს, კორუფციას, შეუსრულებელ დაპირებებს ვებრძვით“



გვ.6

ია ანთაძე: პარლამენტმა კომიკური გადაწყვეტილება მიიღო“



რესპუბლიკელები“ და ნაციონალები“ ღარიბაშვილის წინააღმდეგ იბრძვიან?!

გვ.4

თბილისის მერობისთვის ირმა ინაშვილიც იბრძოლებს

გვ.6





გვ.5

ევროპისკენ სწრაფვა საქართველოს წიაღიდან წამოსული სურვილია“

7 მაისიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

წიგნი 4

№ კფჰბ ლფ №) სტსჰბ



ISSN 1987-9385

**4** სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია

**6** შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

**5** სოფლის მეურნეობის მინისტრი სტუდენტებს შეხვდა

**6** სოფელ ფოკაში მცხოვრები მამა-შვილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს

# დემურ გიორხელიძე: წელიწად-ნახევარია, მთავრობა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს“

შორენა კოწოწაშვილი




## ინტერვიუ დამოუკიდებელ ანალიტიკოს დემურ გიორხელიძესთან

***— ბატონო დემურ, ადგილობრივი არჩევნების წინ პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ იმაზე მეტი გააკეთა ამ ხელისუფლებამ, ვიდრე დაპირება იყო და რომ ქვეყანა განვითარების სწორ გზას ადგა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, საით მიდის ქვეყანა?***

— მე მესმის ხელისუფლების და განსაკუთრებით მთავრობის პოზიცია, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი გაკეთდა. რა თქმა უნდა, ცოტა ჭირს შედეგების მიხედვით ამის დასაბუთება, მაგრამ ოპტიმიზმი მთავრობისა მაინც კარგია. მაგრამ ყველაზე უფრო კარგი იქნება, აქტიურობა მთავრობისა კარდინალური საკითხების გადაწყვეტაზე. ის იმედი, რომ რაღაც ხელშეკრულებები ქვეყანას თავისთავად წინ წასწევს ისე, რომ საშინაო პოლიტიკა არ იქნება მომართული ქვეყნის, ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარებისთვის, ეს ისეთივე ზღაპარია, როგორც ის ილუზიები, როგორიც ზოგიერთ მალალჩინოსანს აქვს, მაგრამ ერთი-ორი წელი გავა და პირობას გაძლევთ, ნულოვანი შედეგი იქნება, თუ არაფერი შეიცვალა. იმიტომ, რომ ამ პოლიტიკით შედეგის მიღწევა, უბრალოდ, არ შეიძლება ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ მთავრობა ოპტიმისტია, არ ტირის, კარგია. ახლა ვნახოთ, საზოგადოება როგორ შეაფასებს. წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება რაიმე ოპტიმალური კრიტერიუმებით არ სარგებლობს არჩევანის დროს. მას ისეც მოციური, პირადი შეხედულებები გააჩნია. თუკი 2012 წლის 1 ოქტომბერი გასაგები იყო — მიუღებელი წინა ხელისუფლების გამო, დღეს მიამიტობა აბსოლუტურად გაუგებარია იმიტომ, რომ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა უნდა იყოს შესაბამისი მის მიერ მიღწეულ შედეგებთან. თუ შედეგები არ არის და ხალხი მაინც გამოხატავს მომავლის იმედით ანუ ვაცალოთ და შემდეგ რაღაც იქნებ კარგი მოხდეს, ამ პრინციპებით დემოკრატიული საზოგადოებები არ ვითარდება. იმიტომ, რომ არაფერი არავის არასდროს არ უნდა აცალო. პირიქით, საზოგადოებასაც და პოლიტიკურ ოპონენტებსაც უნდა ჰყავდეთ ხელისუფლება უმძიმეს პრესინგში და სულის მოთქმის საშუალებას არ უნდა აძლევდნენ. რაკი ასეთი რამ არ არსებობს. პოლიტიკური ოპოზიციაც პარლამენტში ფორმალურია. რეალურად ნაციონალური მოძრაობა არანაირ ოპოზიციას არ წარმოადგენს. ის ამ შემთხვევაში დუეტში მოთამაშე პოლიტიკური ძალაა, რომელიც მისამღერის ფუნქციას ასრულებს. მანამ, სანამ გარეთ არ ჩამოყალიბებულა სერიოზული გამაწონასწორებელი პოლიტიკური ძალები, შედეგი ყოველთვის ასეთი იქნება. ანუ ხელისუფლებები ყოველთვის იტყვიან, რომ შესანიშნავადაა ყველაფერი. ეჭვიც არ მეპარება, რომ მათთვის ყველაფერი შესანიშნავადაა. პრემიერ-მინისტრმა აბსოლუტურად სწორად აღნიშნა, რომ წელიწად-ნახევარია მთავრობა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს ანუ სახელმწიფო სამსახურები. მათ მიაღწიეს უკვე ძალიან მაღალი დონის კეთილდღეობას, რისი მიტაცებაც შეიძლებოდა და სახელმწიფო ფულით რა კომფორტის მოწყობაც შეიძლებოდა, მოიწყვეს, დაუმსახურებელი პრემიებიც მიიღეს, ყველაფერი და შედეგი ნულოვანია. ახლა უკვე ისევ მთავრობის მეთაურის საფიქრალია, ის მოჯადოებული წრე გაარღვიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ 22 წელია არაერთი ამაყი მთავრობის მეთაური გვინახავს, რომლის უკან საქმეები არ იყო. მე არ ვისურვებდი, რომ ამ პრემიერ-მინისტრსაც იგივე ბედი სწეოდა.

***— რა ვითარებაა მთავრობის შიგნით? პრემიერი კი ამბობს, ერთი გუნდი ვართო, მაგრამ როგორც ითქვა, ღარიბაშვილს ამის ხაზგასმა დასჭირდა, რადგან გუნდის შიგნით არეულობაა.***

— გინდა ერთი გუნდი იყავი, გინდა ინდივიდუალური სოლისტებისგან შემდგარი ერთობა, მთავარია შედეგი დადე. როდესაც ასეთ გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანაში წელიწად-ნახევარი გადის და ამ ხნის მანძილზე აშკარად დაბალაეფექტური მმართველობაა, შედეგები მცირეა და მთავრობაში ცვლილებები არ ხდება, ეს სატრაბახო სულაც არ არის, პირიქით. ოპტიმალური მართვის მეთოდები გეუბნება, რომ გარდამავალ პერიოდში შენ ლავირებას უნდა აკეთებდე იმის მიხედვით, რა ამოცანები გაქვს გადასაწყვეტი და როგორ წყვეტ ამას. შენ გუნდის ერთგულებით იტრაბახო და შედეგი ადგილზე იდგეს, ვერ არის ეს კარგი მართვა. მე არ მომწონს.

***— თქვენი აზრით, რატომ დაჩქარდა ერთი მხრივ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე აპელირება, რომლითაც პრეზიდენტის უფლებები უნდა გაიზარდოს? ეს არის პირველი რიგის ამოცანა ხელისუფლებისთვის ამ ეტაპზე?***

— ამ ეტაპისთვის სიღარიბეში ჩაძირული ქვეყანაში, სადაც უმძიმესი სოციალური ფონია და კარგია, რომ პრემიერ-მინისტრმა რეგიონებში მოგზაურობის შემდეგ, აღიარა ეს. ეს კარგია ნიშანია, რომ მან არ დამალა ის ფაქტი, რომ უმძიმესი მდგომარეობაა. ადამიანებს არ აქვთ სამუშაო ადგილი. კონსტიტიციური ცვლილებები იმ მახინჯ კონსტიტუციაში, რომელიც დღეს არის, იმას ნიშნავს, რომ ესეც თავიდან ბოლომდე არის პოლიტიკური ბლეფი. იმიტომ, რომ იმ სიმახინჯეს, რასაც ქართული კონსტიტუცია ჰქვია, მისი მოდერნიზაცია-გაუმჯობესება არ შეიძლება. რა გაუჭირდა საქართველოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობიდან გამომდინარე, აიღონ დასავლურ პრინციპებზე, ხელისუფლების დაყოფის გაწონასწორებისა და შეკავების მექანიზმებზე აგებული ნორმალური, სალი კონსტიტუცია, რომელიც თავის ფუნქციებს შეასრულებს. ამის ინტელექტი არ არის ქვეყანაში? რა თქმა უნდა, არის. ამის პოლიტიკური ნება არ არის. ამიტომ ახლა კონსტიტუციაზე საუბარზე წავა მთელი აქცენტი ყურადღებისა და პრეზიდენტის უფლებების გაზრდაზეა საუბარი, როცა პრინციპები არ არის წესიერად ჩამოყალიბებული. ეს უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ფონი დარჩება გვერდზე. კიდევ გეუბნებით, ხელისუფლებისთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილებია. ეკონომიკური ზრდა იმ სიდიდით, რა სიდიდითაც წელს არის დაგეგმილი, არის სრული უპერსპექტივობა. ესეც პრობლემურია, ხომ?! ამიტომ, მთავარი ყურადღება მთავრობისა უნდა იყოს ყველაზე არსებით საკითხზე. კონსტიტუცია ხელახლაა დასაწერი. საზოგადოებაში განხილვისთვის არის დასაშვები და რეფერენდუმით მისაღები, რომ ეს მარაზმი პოლიტიკაში — კონსტიტუციის საკუთარ ტანზე მორგების პრაქტიკა, იქნეს დაგმობილი ერთხელ და სამუდამოდ. ხომ არიან ახლა ხელისუფლებაში ის ადამიანები, რომლებიც იურისტები არიან, რომლებსაც ვთქვათ, წინა და იმის წინა ხელისუფლებების მიმართ პრეტენზიები ჰქონდათ. მე არ დავასახელებ გვარს, მაგრამ ვიტყვი ამ ხელისუფლებაში მყოფი ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერიც, რომელიც არ არის დღეს პარლამენტში, მაგრამ ნამდვილად იმ პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, მან სწორად თქვა: მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტი თითქოსდა არ აკლია ამ ხალხს, ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, შეძლებენ თუ არა ისინი რაიმეს გაკეთებას. ამიტომ, მე ამ ბატონებს მოვუწოდებდი რაიმეს კეთებისკენ, რომელსაც შედეგი მოაქვს. რაიმეს კეთებას რაიმეს კეთებისთვის, რასაც ისინი წელიწად-ნახევარია აკეთებენ, შედეგის მომტანი არასდროს იქნება.

***— პოლიტიკურად უუნაროა ეს პარლამენტი, რომელმაც ეკლესიისა და მრევლის პროტესტის მიუხედავად მაინც მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი?***

— ანტიდისკრიმინაციული კანონი არის უპერსპექტივო, თვითმკვლელი პოლიტიკური ლიდერების მიერ მიღებული და ინიცირებული, რაც უფრო უარესია, კანონი, რომელიც მათ თუ საქართველოს სახელმწიფოს გადარჩენა უწერია, პერსპექტივა არ აქვს. კიდევ ხაზს ვუსვამ, შემოიღო კანონი, როცა არ არსებობს დისკრიმინაცია ამ მიმართულებით, არის პოლიტიკანობა; არის ვიღაცის დაკვეთით შესრულებული ძალიან მავნე ნაბიჯი იმიტომ, რომ ქართული კულტურა არ წარმოადგენს ჩაკეტილ კულტურას. ქართული კულტურა არ არის არავის მტერი. ქართულ კულტურაში არ არსებობს დაპირისპირება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ბუნებამ ისეთები გააჩინა, როგორებიც არიან. ეს არის პოლიტიკანური მიზნით მოგონილი, გარედან დაფინანსებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული და სამწუხაროდ, სხვა ქვეყნის ინტერესებზე გათვლილი კანონი, რომელიც ძალიან სერიოზულ ზიანს მოიტანს. კიდევ გეუბნებით, არანაირი თეოკრატიის საფრთხე საქართველოში არ არსებობს. ეკლესიისადმი აშკარად გამოხატული მტრული დამოკიდებულება იმას მიანიშნებს, რომ ესეც დაკვეთით სრულდება. რადგან ეკლესიაში, მართალია, ძალიან სერიოზული პრობლემებია, რომლებიც ცალკეულ მღვდელმთავარს და ცალკეულ სასულიერო პირს უკავშირდება, მაგრამ ეკლესიისადმი აგრესიული დამოკიდებულება, მისი დაკნინება, თითქოს ასე მოხდა ევროპაში, ნიშნავს იმას, რომ ამ დიდი უცოდინარი ვინმე ხარ, ან საზიზღარი მავნებელი, რადგან ევროპაში სხვა ისტორიული და კულტურული კონტექსტები ჰქონდა ყველაფერ ამას და სულ სხვაა იგი საქართველოში.

***— რადგან კონტექსტი ახსენეთ, როგორია დღეისათვის პოლიტიკური კონტექსტი: მართლაც რუსეთისკენ აიღო ქვეყანამ გეზი?***

— ყველა, ვინც ამბობს, რომ საქართველომ რუსეთისკენ აიღო გეზი, არის რუსეთის სამსახურში და სპეციალურად ნიღბავს რუსეთის სქემით ამ ხელისუფლების რუსეთუმეობას; კიდევ აქ განსაკუთრებული აზრი თუ ვინმეს აქვს და ნორმალური და უხიფათო ურთიერთობების დამყარებისკენ მიისწრაფვის, რუსეთუმეობის დაბრალება არის პოლიტიკური ხერხი, რომ შეინიღბოს უფრო საშიში რამ. ამ შემთხვევაში ამ პოლიტიკური ჯგუფებისათვის რუსეთი არის მეხამრიდი. რუსეთის ქვეშ ეფარებიან ისინი. რუსეთს გადასცეს ქვეყნის 20% ტერიტორიები, თავიანთი დაუკვირვებელი საქციელით და ახლაც ყველაფერს აკეთებენ, რომ უკრაინის მსგავსად, რომელიც თვითმკვლელობის გზას ადგას, მთელი მსოფლიო ხედავს და პროგრესული მსოფლიო წერს კიდეც ამის თაობაზე, რომ უკრაინა დაადგა თვითმკვლელობის გზას, ახლა რიგში ჩამდგარია და სულწასული პიონერივით ცდილობს წინა ხაზზე გამოვიდეს საქართველო, რომ თვითმკვლელობის გადაწყვეტილებები მიიღოს.

***— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?***

— ამის თქმის საფუძველს მაძლევს პოლიტიკური კონტექსტები, ის რეალობა, რომელიც არის. მე ლიტერატორი და პოეტი არ გახლავართ, 20 წელია საჯარო პირი ვარ და ყველა კუთხე-კუნჭულში ვარ ნამყოფი. შესანიშნავად ვიცი, როგორ ხდება პოლიტიკური ტექნოლოგიების გათამაშება პოლიტიკური მიზნებისათვის. ამიტომ, ვფიქრობ, ანტირუსული ლექსიკა, რომელსაც პოლიტიკოსები, არასამთავრობოები და მათი დამქაშები იყენებენ, არის მხოლოდ ნიღაბი სხვა რამის შესაფუთად და ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანაში არ არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც საჭიროა, რომ იყოს და რომელსაც ხალხი მოელოდა. რაც შეეხება რუსეთს, კიდევ გეუბნებით, თუ ჩვენ არ შევუქმნით რუსეთს საფრთხეს აქედან, ჩვენ რუსეთისგან საფრთხე პრინციპში არ გველოდება, რადგან ჩვენ როგორადაც არ უნდა მოვინდომოთ, ვერ გადავძალავთ დიდი ქვეყნების — რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის დაპირისპირებას. ამიტომ, სჯობს, რომ გონივრულად ვითანამშრომლოთ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან და მეგობარ ქვეყნებთან და ვთხოვოთ მათ, რომ რუსეთთან დაგვილაგონ ურთიერთობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქართული პოლიტიკა უაზროდ იმოქმედებს, თუ აგრესია განხორციელდება რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ, ვერც ევროკავშირი, ვერც აშშ და მით უფრო ვერც ნატო, ვერანაირი დამცველი და მეხამრიდი ვერ იქნება საქართველოსი. ეს მათ შესანიშნავად იციან. ეს არ იციან ჩვენთან. ამიტომ არის ბრიყვული პოლიტიკა. ამიტომ არის გაუფრთხილებელი და მე ვიტყოდი ასე: კრამიტი რომ დაუჩოჩდება კაცს და უკვე სიფრთხილის ნიშნებს კარგავს და კარგად „ერეკება“, დაახლოებით იგივე პოლიტიკაა დღეს საქართველოში.

***— ანტიდასავლური განწყობებს გააძლიერებს იგივე ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი?***

— ანტიდასავლური განწყობები გაძლიერდა ორი რამის გამო: დასავლეთის სახელმწიფოების შეცდომის გამო საქართველოში და იმ პოლიტიკური ძალებისა და არასამთავრობოების საზიზღარი პროპაგანდის გამო, რომელმაც გააჩინა ეს განწყობები. ძალიან ცუდი, რადგან ჩვენ არ გვჭირდება დასავლეთის მიმართ ცუდი განწყობები, პირიქით. ჩვენ გვინდა დასავლური ტიპის სახელმწიფო, დასავლური დიდი კულტურის მიღწევების გადმოტანა საქართველოში. ჩვენ კი რას გვთავაზობენ: ის, რაც საუკეთესოა დასავლურ კულტურაში, უარყოფილია და ე.წ. მედასავლეთეები პედარასტიას წინ წამოწევენ. ე.წ. მედასავლეთეებმა ლამის პედარასტია გახადეს დასავლური კულტურის მთავარი ნიშანი. არადა, ეს არ არის დასავლური კულტურის არანაირი ნიშანი, ეს არის განვითარების გვერდითი ეფექტი. ამიტომ, დასავლეთის მიმართ თუ გახდა ნეგატიური განწყობები, ეს არ არის ქართველი ხალხის ბრალი. ეს არის ქართველ ხალხზე ძალადობის ბრალი.

# მუხროვანის საქმეზე ლევან ტაბიძე დააკავეს

შორენა გონგლაძე

საქართველოს პროკურატურის ცნობით, უწყებამ გახსნა 2009 წლის 20 მაისს, ე.წ. ,,მუხროვანის ამბოხისთვის“ ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის ძებნის სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებები.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, წამების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ლევან ტაბიძე დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ შ.ს. სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ლევან ტაბიძემ, ე.წ. ,,მუხროვანის ამბოხისთვის“ ძებნილი პირების — ლევან ამირიძის, კობა ოთანაძისა და გია კრიალაშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, დაგეგმა და განახორციელა კობა ოთანაძის ნათესავებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მათი წამება.

ამ მიზნით, 2009 წლის 20 მაისს, ღამის საათებში, ლევან ტაბიძე და მისი თანხმლები პირები შეიჭრნენ კობა ოთანაძის ნათესავის მურად ზარიძის საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც იქ იმყოფებოდნენ მურად ზარიძის მეუღლე ნათია თვაური, მცირეწლოვანი-ერთი წლის შვილი, მშობლები და დები. ოჯახში შესვლის შემდეგ ლევან ტაბიძემ გამოძიებით ამ ეტაპზე დაუდგენელ ნიღბიან პირებთან ერთად დაიწყო სახლში მყოფი მურად ზარიძის და მისი ოჯახის წევრების უმოწყალო ცემა. კერძოდ, ლევან ტაბიძე მივიდა საწოლში მყოფ მურად ზარიძის მეუღლესთან ნათია თვაურთან, რო-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ირაკლი ალასანია ყველაზე პოპულარული მინისტრია

## ნინო ბურჯანაძე თავდაცვის მინისტრის იმპიჩმენტს ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. უყურადღებობას ის არც არასდროს უჩიოდა. საზოგადოების განსჯის საგნად პოპულარული მინისტრი ენ-დი-აის კვლევებმა აქცია. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ამირსპასალარი ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს ქვეყანაში.**

კვლევების გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე სამხედრო ექსპერტმა გიორგი თავდგირიძემ განცხადა, რომ ირაკლი ალასანია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისთვის ემზადება.

მისივე თქმით, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, როდესაც განაცხადა, რომ ჩვენს ხელისუფლებას მოუწევს, ნაციონალურ მოძრაობას რაღაცები ვაპატიოთო, ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ თავს გულისხმობდა.

ალასანიამ ნაცმოძრაობას უკვე ყველაფერი აპატია, ეს მისი პირადი არჩევანია. არ მგონია, ალასანია საქართველოს ხელისუფლებას წარმოადგენდეს. ფაქტობრივად, ამ გუნდის შემადგენელი არ არის. დემონსტრაციულად ახდენს საკუთარი თავის გამიჯვნას გუნდისგან. ამ განცხადებით პირადი სურვილი გააჟღერა, რაც ნათლად სურს. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის" რესურსის გამოყენება, რადგან სხვა რესურსი ბუნებაში უკვე აღარ არსებობს, რომელიც შეუძლია გამოიყენოს. ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება გახდეს ღარიბაშვილისა და ივანიშვილის კონკურენტი, მაგრამ ემზადება დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისთვის, ზუსტ ვადებს ვერ გეტყვით, მაგრამ უახლოეს ხანებში ის პოლიტიკურ განაცხადს გააკეთებს, — აცხადებს ექსპერტი.

ალასანიას ამ განცხადება ერში დიდი ხმაური გამოიწვია. ექსპერტთა ნაწილის ვარაუდით, ის შესაძლოა ნაციონალებსაც კი გაურიგდეს.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი თავის მხრივ მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ ძალადობა დაუშვებელია. „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში მან განაცხადა: „სამყაროს არ უნდა დავანახცოთ, რომ შიგნიდან გახლეჩილები ვართ".

— კარგად მესმის მათი, ვისაც ძალიან ცუდად მოექცა სააკაშვილის ხელისუფლება, ვისაც დევნიდნენ და უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს ციხეში. ვიცი, რომ მათთვის ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და მინდა ვუთხრა: ჩვენი შვილების მომავლისთვის აუცილებელია, არ დავუშვათ ძალადობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ქვეყნის მომავლისთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის საფრთხეები, რაც ქვეყანას ემუქრება და არ დავანახვოთ სამყაროს, რომ შიგნიდან ვართ გახლეჩილი. აქედან გამომდინარე, მოთმინება და „ნაციონალური მოძრაობისთვის" რაღაცების პატიება მოგვიწევს. ეს შემიძლია მე ვთქვა, რადგან შევძელი და ვაპატიე აფხაზებს, რომლებმაც მამა დამიხვრიტეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნოდ მორატორიუმი გამოვაცხადეთ. ეს იდეა მთავრობის სხდომაზე გაგვიზიარა ირაკლი ღარიბაშვილმა, რასაც ყველა დავთანხმდით. მორატორიუმი სრულად უნდა შესრულდეს და საარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალება ყველას უნდა მიეცეს, — აცხადებს ირაკლი ალასანია.

მინისტრის განცხადებამ, „ნაციონალებს" ბევრი რამე უნდა ვაპატიოთ", ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. ექსპერტების ვარაუდით, ირაკლი ალასანია შესაძლოა პროდასავლურ ძალებთან კოალიციაში შევიდეს.

ანტიდისკრიმინაციული კანონის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ალასანიას მიმტევებლობა უკანა პლანზე გადასწია. ენდიაის კვლევებმა კი ეს თემა კვლავ აქტუალური გახადა.

გავრცელებული ინფორმაციით, მეოცნებეებს ეს ფაქტი ძალიან არ მოეწონათ. თუმცა არჩევნებამდე მაინც არ იხმაურებენ. არჩევნებს კი კაცმა არ იცის, რა მოხდება. ნავაროს კანტორის ჩატარებული კვლევების თანახმად, თბილისის მერის გამოსავლენად შესაძლოა მეორე ტური გახდეს საჭირო.

დეპუტატ დავით დარჩიაშვილს არ გაკვირვებია ის ფაქტი, რომ კვლევის მიხედვით თავდაცვის მინისტრს პრემიერზე მაღალი რეიტინგი აქვს.

— მე ვერ წარმომიდგენია პიროვნულად საჯარო ფიგურების იმიჯის არსში, რომ ღარიბაშვილს რაიმე დადებითი ახასიათებდეს საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს. იმდენად არაადეკვატური და არაკვალიფიციურია მისი გამოჩენა მედიაში, რომ მისი განცხადებები ახალგაზრდა პატიაშვილის განცხადებებს მაგონებს. ვისურვებდი მეტ პროცენტს დაენახა რასთან აქვთ საქმე. ალასანიას მაღალი რეიტინგი განპირობებულია იმით, რომ მისი განცხადებები უფრო ადეკვატური და მოზომილია ვიდრე ღარიბაშვილის, — განაცხადა „ნიუსპოსტთან" საუბარში დარჩიაშვილმა.



ალასანიას მაღალი რეიტინგი არ გაჰკვირვებია მის თანაპარტიელს, დეპუტატ ზურაბ აბაშიძეს. მისი განაცხადებით, თავდაცვის მინისტრის მიმართ საზოგადოების სიმპათია აქამდე გამოქვეყნებულ არაერთ კვლევაში ასახულა.

— ეს კვლევა არ არის პირველი კვლევა, სადაც ირაკლი ალასანიას აქვს მაღალი მაჩვენებელი; თავდაცვის მინისტრის მოწონების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა ხშირად სხვადასხვა კვლევაში. აქ სიახლეს ვერ ვხედავ. საზოგადოების დამოკიდებულება ნებისმიერი პოლიტიკოსის მიმართ გამომდინარეობს მისი საქმიანობიდან. მე პირადად ირაკლი ალასანია ძალიან მომწონს, ასევე ძალიან მომწონს და ვაფასებ ირაკლი ღარიბაშვილს. ასე რომ, მცირე პროცენტული სხვაობა არ მგონია, განსაკუთრებულ სურათს ქმნიდეს. ხვალ ან ზეგ შეიძლება პირიქით დაფიქსირდეს. ამასთან, ვერ ვიტყვი, რომ რაღაცაშია საქმე და ამ მაჩვენებლებში რაიმე კონსპირაციის მოძებნა ვფიქრობ, არასწორია და არც არავის ვურჩევ, — განაცხადა აბაშიძემ.

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ყველაზე მოწონებადი სახელისუფლო ლიდერია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კი, ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად მიიჩნევა.

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიმართ მოწონების მაჩვენებელი 67%-ს შეადგენს. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის შემდეგი ყველაზე მოწონებადი ლიდერია და მისი მაჩვენებელი 64%-ია, მას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი 61%-ით მოსდევს.

კვლევის თანახმად, ყველაზე მოწონებადი ოპოზიციური ლიდერი კი, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დავით ბაქრაძეა, რომლის მოწონების მაჩვენებელი, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, 51%-ია. ყველაზე მოწონებადი ქალი ლიდერები „ქართული ოცნების" წარმომადგენელი პარლამენტის წევრები ეკა ბესელია და თინათინ ხიდაშელი არიან, რომელთა მოწონების მაჩვენებელი, შესაბამისად, 47% და 46%-ია. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მოწონების მაჩვენებელი კი, 46%-ს შეადგენს.

გამოკითხულთა 85% მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გამოკითხულთა 51%-მა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა. თუმცა, ენდია-ის კვლევის მიხედვით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერა დედაქალაქის გარეთ უფრო მაღალია.

აღნიშნული კვლევის საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში ჩატარდა და 3 942 ადამიანი გამოიკითხა. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/– 2.1%.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2014 წლის აპრილის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 96%-ს პატრიარქი ილია II მოსწონს. აღნიშნული მაჩვენებელი 2013 წლის ნოემბრის თვის მონაცემთან შედარებით გაზრდილია, ნოემბერში გამოკითხულთა 94%-მა კითხვაზე მოგწონთ თუ არა პატრიარქი, დადებითი პასუხი გასცა.

ამავე პერიოდში გამოკითხულთა 67%-ს მოსწონს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, რომელიც რეიტინგში მეორე ადგილზეა, 12%-ს კი, არ მოსწონს. თავდაცვის მინისტრის რეიტინგი 2013 წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით, შემცირებულია – 2013 წლის ნოემბრის თვეში გამოკითხულთა 72% აცხადებდა, რომ ალასანია მოსწონდა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 64%-ს მოსწონს, ხოლო 15%-ს არ მოსწონს. 2013 წლის ნოემბრის მონაცემებით კი, პრემიერი გამოკითხულთა 71%-ს მოსწონდა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, 2014 წლის აპრილში გამოკითხულთა 61%-ს მოსწონს და 18%-ს არ მოსწონს.

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე კი, ამავე პერიოდში გამოკითხულთა 51%-ს მოსწონს, 25%-ს კი, არა.

მკვეთრადაა შემცირებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი. 2013 წლის ნოემბრის მონაცემებით, ის გამოკითხულთა 74%-ს მოსწონდა, ხოლო 2014 წლის აპრილში გამოკითხულთა მხოლოდ 51% ამბობს, რომ ივანიშვილი მოსწონს, გამოკითხულთა 24%-ს კი, ექსპრემიერი არ მოსწონს.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის რეიტინგში თინა ხიდაშელის შემდეგ მე-10 ადგილზეა. ის 2014 წლის აპრილში გამოკითხულთა 46%-ს მოსწონს. ენდიაი-ს კვლევის პროცესში სულ 3915 ადამიანი გამოიკითხა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის განცხადებით, საშუალო ცდომილების ზღვარი +/– 2,1 %-ია

ენერგეტიკის მინისტრის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, ენდიაის კვლევები ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ გამხდარა სპეკულაციების საგანი, რამაც ამ ორგანიზაციას სერიოზული ჩრდილი მიაყენა.

— მე ვფიქრობ, ეს დიდწილად დამსაუხრებაა მისი ადგილობრივი ხელმძღვანელის, ბატონი ლუის ნავაროსი. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, თუ როგორი კვლევები იდებოდა წინა საპარლამენტო არჩევნების დროს. ისიც ძალიან კარგად გვახსოვს, 12%-იანი „ქართული ოცნების" რეიტინგები იმ დროს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" იყო ხელისუფლებაში და „ქართულმა ოცნებამ" რეალურად 65% აიღო. ამიტომ მე დადებით შეფასებას ვერ მივცემ ენდიაის კვლევებს, რადგან ამ ორგანიზაციის მოღვაწეობა ბოლო წლების განმავლობაში ცალსახად ჩანს, რომ ტენდენციურია, — განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძე სიმართლეს ამბობს. საპარლამენტო არჩევნების წინაც ჩატარდა კვლევები და ოცნებას მაშინ ძალიან დაბალი შედეგი ჰქონდა. არჩევნებმა კი საპირისპირო შედეგი აჩვენა.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მის გარშემო დიდი ამბებია. ამტკიცებენ, რომ ადრე თუ მალე ოპოზიციაში წავა.

ჟრიამული მოჰყვა ალასანიას სტრუქტურის ახალ ინიციატივასაც. საუბარია „მობილიზაციის შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებებზე. რომელიც პარლამენტს უკვე წარედგინა.

ცვლილების თანახმად, სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმას პრეზიდენტის ნაცვლად მთავრობა დაამტკიცებს.

აღნიშნულ კანონთან ერთად, პარლამენტში შესულია „საქართველოს თავდაცვის შესახებ" სრულიად ახალი კანონპროექტი, რომლითაც თავდაცვის სფეროში სხვადასხვა საკითხებთან ერთად რეგულირდება პარლამენტის, პრეზიდენტის, ეროვნული უშიშროების საბჭოს, მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები.

პარლამენტის ყოფილი სპიკერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის უფლება არ აქვს.

— რაც ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით ხდება, ეს არის სამარცხვინო რეალობა. ამ სამარცხვინო რეალობას საფუძველი ჩაუყარა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც პრეზიდენტად დაასახელა ადამიანი, რომელსაც არც ამბიცია ჰქონია საპრეზიდენტო და არც შესაბამისი გამოცდილება. მან საქართველოს მოსახლეობას აკადრა ის, რომ ჩემი ხათრით აირჩიეთ პრეზიდენტიო, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი შეფასებით, ეს არის არა რომელიმე ადამიანის შეურაცხყოფა, არამედ ქვეყნის ინსტიტუციონალური შეურაცხყოფა. მისი თქმით, ეს არის ბრძოლა არა იმისთვის, რომ ქვეყანა წინ წავიდეს, არამედ — ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა.

ბურჯანაძის თქმით, სჯობს თავდაცვის სამინისტრომ საკუთარ საქმეს მიხედოს მიხედოს. მისი თქმით, უწყების მინისტრმა ირაკლი ალასანიამ თავისი გამოსვლების დროს ქვეყნის ინტერესებზე, რომ იზრუნოს და არა საკუთარი პატრონების ინტერესებზე, ძალიან კარგი იქნება.

— განცხადება, რომელიც ბატონმა ალასანიამ გააკეთა იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს არის ზოგადად მსოფლიოში, ეს არის ან დიდი უცოდინარობა, ან უბრალოდ ქვეყნის ღალატი. ეს განცხადება ქვეყანას რეალური საფრთხის წინაშე აყენებს და ნორმალურ ქვეყანაში ამაზე აუცილებლად მოსთხოვდნენ პასუხს თავდაცვის მინისტრს, შეიძლება ეს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველიც კი გამხდარიყო, — განაცხადა ბურჯანაძემ.

გუშინ ის კვლევის შედეგებსაც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, მინიმალურად ობიექტური არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, მინიმუმ, მეორე ტური გაიმართება, რომელშიც აუცილებლად იქნება მისი კოალიციის თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ბურჯანაძის თქმით, კვლევაში კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის" კანდიდატი საერთოდ არ არის ნახსენები და კვლევა აჩვენებს, რომ მოსახლეობა კოალიციის მიერ წარდგენილ ნებისმიერ კანდიდატს დაუჭერდა მხარს.

— მინიმუმ სამჯერ მაინც გაიზრდება დიმიტრი ლორთქიფანიძის დასახელების შემდეგ მხარდამჭერთა რაოდენობა, — ამტკიცებს ნინო ბურჯანაძე.

ნავაროს კანტორის მიერ ჩატარებულ კვლევას „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი დავით ნარმანიაც გამოეხმაურა. მისი თქმით, აღნიშნული რეიტინგები მეორე ტურის წინაპირობა არ არის.

როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, კოალიციის პროგრამის პრეზენტაცია და საზოგადოებამდე მიტანა ახალი დაწყებულია და წინ მთელი 38 დღეა, რომლის განმავლობაში 150-მდე შეხვედრა ჩატარდება და საზოგადოებისთვის პროგრამის უშუალოდ ადგილზე გაცნობა მოხდება.

— ის ადამიანები, რომლებიც ჯერჯერობით კითხვაზე პასუხს არ სცემენ, არიან ჩვენი პოტენციური მხარდამჭერები, რა თქმა უნდა, და როცა საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევა, სულ უფრო მეტად მოიმატებს ჩვენი რეიტინგი და მაჩვენებელი. ჩვენ ვიცით, რომ დამაჯერებელი და ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი გვექნება, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია

ნათია ხურცილავა

ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ ერთობლივი ანგარიშის შედეგები გამოაქვეყნა. შეფასება ეხებოდა ადამიანის უფლებებს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში.

პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმის დამოუკიდებელი შეფასება გაკეთდა.

ევროპის საბჭოს ექსპერტებმა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა რეფორმის განხორციელების შუალედურ ეტაპზე შეაფასეს. შეიმუშავეს ანგარიში, რომელშიც მიღწეული პროგრესი რეფორმის ამოცანებთან, საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებთან მიმართებითაა განხილული. ანგარიშის თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სფერო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით 2012 და წინა წლებთან შედარებით. მათი შეფასებით, პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში სახეზეა შთამბეჭდავი პროგრესი:

– გაიზარდა ჯანდაცვის ბიუჯეტი, მნიშვნელოვნად შემცირდა პატიმართა რაოდენობა, მოხდა სამედიცინო დეპარტამენტის სრული რეორგანიზაცია, რომელიც ამოცანების შესრულებაზეა ორიენტირებული. თანამედროვე, დინამიკური მართვის მოდელების გათვალისწინებით. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის რეფორმა. გაიხსნა ახალი სამედიცინო ცენტრი. ინტენსიური სახე მიიღო თანამშრომლობამ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებთან. წარმატებით დაინერგა ელექტრონული პროგრამა, რომელიც პაციენტების რიგსა და რეფერალს არეგულირებს და უზრუნველყოფს მთლიანი პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას, ობიექტურად, სამედიცინო მიზანშეწონილობის საფუძველზე. გაუმჯობესდა სამედიცინო მონაცემების გაცვლის პროცესი. დაიხვეწა კვების სტანდარტი და გაუმჯობესდა კვების ხარისხი. სანიტარიული პირობები და აღჭურვილობა სამზარეულოში, კვების ბლოკებში და სასადილო ოთახებში უპირატესად აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა პენიტენციური ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება, რამაც ხელი შეუწყო კონკურენტული გარემოს შექმნას. სამედიცინო პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა პატიმრებთან მიუახლოვდა დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს, დაიწყო სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მუდმივად თანამშრომლობენ ჯანდაცვის სამინისტროები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პენიტენციური და სამოქალაქო სექტორის ჯანდაცვის სტანდარტების დაახლოება – წარმატებული თანამშრომლობის მაგალითებია: „ვერტიკალური“ სამედიცინო პროგრამების განხორციელება (ტუბერკულოზი, აივ-ინფექცია-შიდსი) ცე ჰეპატიტის პროგრამის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, სამედიცინო მონაცემთა დამუშავების უნიფიკაცია, ერთობლივი კომისია, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პატიმართა გათავისუფლების საკითხებს განიხილავს. სამუშაო ჯგუფი ფსიქიკური ჯანდაცვის მიმართულებით. – ნათქვამია შუალედურ ანგარიშში.



ექსპერტთა აზრით, ყველა ზემოხსენებულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვის პრაქტიკის აშკარა გაუმჯობესებას, ევროპის საბჭოსა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად, პირველადი და მეორეული ჯანდაცვის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სომატური და ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრების ექიმ-სპეციალისტებთან რეფერირების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას, პატიმართა სიკვდილობის მაჩვენებლის შემცირებას. – გარდა ამისა, გაძლიერდა და უფრო ინტენსიურად ხორციელდება ვერტიკალური სამედიცინო პროგრამები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში როგორიცაა: ცე ჰეპატიტის პროგრამა, ტუბერკულოზის პროგრამა, სუიციდის პრევენციის პროგრამა, მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამა, აივ ინფექციის პროგრამა და სხვა. ანგარიშში ასევე მოცემულია შენიშვნები და რეკომენდაციები შესაძლო სამომავლო ნაბიჯებსა და ქმედებებთან დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების მართვა და კონტროლი, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის მექანიზმების დანერგვა, გაიდლაინები და პროტოკოლები, უსაფრთხოების სტანდარტები, სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარება, ზიანის შემცირების პროგრამები. – ნათქვამია ანგარიშში.

**არჩილ თალაკვაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე:**

– ევროკავშირისა და ევროსაბჭოს შეფასების მიხედვით 2013 წელს სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესი არის მიღწეული. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა. 5 ათასზე მეტმა ადამიანმა კვალიფიციური სამედიცინო სერვისით ისარგებლა სამოქალაქო საავადმყოფოებში. მედიკამენტებით მომარაგება გაუმჯობესდა. ახალი პროგრამების განხორციელება დაიწყო, ვგულისხმობ ცე ჰეპატიტის, სუიციდის პრევენციის პროგრამებს. ასევე კვლევებში აღნიშნულია, რომ სამედიცინო პერსონალის ხელფასები 60 პროცენტით გაიზარდა. ასევე აღნიშნულია, რომ ცვლილებები თანხმობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.

***– როგორც ვიცით, ტუბერკულოზი პრობლემად რჩება.***

– არა, ამ სისტემაში ტუბერკულოზი უპირველესი პრობლემა იყო, მაგრამ დღეს ეს არ არის. ახალმა შემთხვევებმა ათჯერ იკლო. ასევე შემცირდა ტუბერკულოზით გამოწვეული სიკვდილობაც. ახალი ცენტრი გავხსენით და დავხურეთ ძველი დაწესებულებები, სადაც ტუბერკულოზის გავრცელება ხდებოდა. ტუბერკულოზის სკრინინგი მკვეთრად არის გაუმჯობესებული. პრაქტიკულად, ყველა პატიმარი, რომლებიც შემოდიან ან დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადადიან, სკრინინგს გადის. მართალია, ტუბერკულოზი აღარ არის უპირველესი პრობლემა, მაგრამ ის რჩება დღის წესრიგში და ჩვენ მოგვიწევს რამდენიმეწლიანი მუშაობა, რომ ეს პრობლემა მინიმუმამდე დავიდეს.

***– უპირველეს პრობლემად ავადობის კუთხით რა რჩება სისტემაში?***

– ორი პრობლემა წარმოადგენს მომავალ გამოწვევას: ფსიქიატრიული დახმარება და ნარკოლოგიური სერვისების განვითარება. მთელი პრობლემების ორი მესამედი სასჯელაღსრულების სისტემაში, შეიძლება ითქვას, ამ ორი მიმართულებით მოდის.

## დავით ბაქრაძე: ჩვენ სიღარიბეს, კორუფციას, შეუსრულებელ დაპირებებს ვებრძვით“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ბრძოლას აგრძელებს.

მისი თქმით, თქმით, ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლება საზოგადოებას ვერაფერს სთავაზობს, მათი ბრძოლის მიზანია, საქართველოს გამთლიანება და მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრება.

„ვიბრძოლოთ ამუშავებული და დასაქმებული საქართველოსთვის, რადგან დღევანდელი ხელისუფლება ვერაფერს გვთავაზობს, გარდა გაჩერებული პროექტების, შეუსრულებელი დაპირებების და გაზრდილი უმუშევრობისა.

ვიბრძოლოთ ჩვენი შვილების უსაფრთხო ცხოვრებისთვის, რადგან ამ ქვეყანაში უკვე შემოიპარა კრიმინალის, ანგარიშსწორების და დაუსჯელობის დამღუპველი აჩრდილი. ვიბრძოლოთ თითოეული ადამიანის მეტი კეთილდღეობისთვის, რადგან დღეს უკეთ ცხოვრობს მხოლოდ ის, ვინც ხეირობს კვლავ გაჩენილი კორუფციისა და ნეპოტიზმისგან“– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

როგორც მან ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას მონაწილეებს მიმართა, ისინი რომელიმე კონკრეტულ ოპონენტს არ ებრძვიან. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ შეუსრულებელ დაპირებებს, კრიმინალს და ხელისუფლების მხრიდან მომავალ შურისძიებას ებრძვის.

„ჩვენ არ ვებრძვით არცერთ ჩვენს ოპონენტს, ჩვენ ვებრძვით სიღარიბეს, კორუფციას, შეუსრულებელ დაპირებებს, კრიმინალს, გაძვირებულ საწვავის ფასებს, ვებრძვით ერთმანეთთან დაპირისპირების, ზიზღისა და შურისძიების ტალღას, რომელიც ხელისუფლებისგან მოდის, ვინაიდან ეს ტალღა გახლეჩს ჩვენს ერს და დაუცველს დატოვებს გარედან მომდინარე საფრთხეების წინაშე.

ჩვენი მიზანია საქართველო, რომელიც მშვიდობიანი გზით აუცილებლად გამთლიანდება და თავის წიაღში დაიბრუნებს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას შეუძლია თამამად შეხედოს ხალხს თვალებში და დაპირდეს ამ ყველაფრის შესრულებას, ეს ვართ ჩვენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, – აღნიშნა მან.

დავით ბაქრაძე მთავრობას, პარტიის გეგმას სთავაზობს, რომელიც მისი თქმით, თითოეულ მოქალაქის უკეთეს ცხოვრების საფუძველი იქნება.

**ნიუსპრესი**

# რესპუბლიკელები“ და ნაციონალები“ ღარიბაშვილის წინააღმდეგ იბრძვიან?!

მარიკა მჭედლიშვილი

**ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ თავმჯდომარე თამარ ჩხეიძეს.**

– საქართველოს ხელისუფლება, განსაკუთრებით, პარლამენტი, ბოლო დროს დაუფარავად დაუპირისპირდა ეკლესიას. იყო თუ არა მისაღები ამ ფორმით ანტიდისკრიმინაციული კანონი, სხვა თემაა. როგორ აფასებთ იმ სიტუაციას, როცა პარლამენტში სხვისი დამსახურებით მოხვედრილი დაბალრეიტინგიანი პარტიები ღიად ებრძვიან კათოლიკოს-პატრიარქს, რომელსაც ენდობა და დიდ პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის 98 პროცენტი?

– კათოლიკოს-პატრიარქთან დაპირისპირება აშკარად შეინიშნება. მკაფიოდ ჩანს ორი ტენდენცია-ორივე ტენდენცია, ვითომ ერთმანეთის საპირისპირო, რუსეთისთვისაა სასარგებლო და ერთი წყაროდანაა მართული. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ხორციელდება ორი მიზანი, კამპანია. ერთი ეხება კათოლიკოს-პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას, მეორე-მიმართულია ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ. თქვენ თქვით, ანტიდისკრიმინაციული კანონი ცალკე თემააო. მე ასე არ მიმაჩნია. ეს თემა ხსენებულ საკითხებს უკავშირდება. ეს კანონიც იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელზეც ვსაუბრობ. სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა მისი მიღება. დასკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კანონი იმიტომ არ მიუღიათ, რომ ეს რაიმე აუცილებლობას წარმოადგენდა. მის მისაღებად მხოლოდ იმიტომ გამოიდეს თავი, რომ, აწეულიყო ამ ორი მიმართულების კამპანია. ეს მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ, ერთი მხრივ, დარტყმა მიეყენებინათ პატრიარქისა და ეკლესიისათვის; და მეორე მხრივ, დაზარალებულიყო ევროკავშირის იმიჯი, ანუ სახელი გაეტეხათ ამ ევროსტრუქტურისთვის ქართველ საზოგადოებაში. ანდიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცებას ეს ორი მიზეზი ჰქონდა. მე საგანგაშოდ ვთვლი არა ამ კანონს, არამედ თავად მიზნებს, რის გამოც ის მიიღეს. ამ პარტიებმა, რომლების კისერზეა ამ კანონის დამტკიცება, ასევე მათ უკან მდგომმა რუსმა პოლიტტექნოლოგებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რაც გამოიწვევდა ეს გადაწყვეტილება ქართველ საზოგადოებაში და ვინ დაზარალდებოდა ამით. სრულიად ნათელია, რომ ამით, ერთი მხრივ, ლანძღვა-გინების სამიზნედ უნდა ქცეულიყო ეკლესია და, მეორე მხრივ, უნდა გაჩენილიყო ყალბი განწყობა, თითქოს ევროპა თავს გვახვევს მამათმავლობას. ეს, თავისთავად, ძალიან ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯია. გამომდინარე არა მისი შინაარსიდან, არამედ ადვილად მისახვედრი შედეგებიდან.

– ჩვენმა ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ამ კანონის თავგამოდებული მომხრეები (მას რესპუბლიკური პარტია ჰყავდა მხედველობაში) ამ და სხვა არასახელმწიფოებრივი ნაბიჯებით ამზადებენ პლაცდარმს საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსაყვანად...



– ჯარის შემოსვლის პროგნოზირება შეუძლებელია. ეს დამოკიდებულია საერთაშორისო მოვლენებზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება სიტუაცია უკრაინაში, როგორ განლაგდებიან ძალები გლობალური თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, თუ პუტინის შემდგომი გათავხედება მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე, რუსეთისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამ ეტაპზე ამას ვერ ვიწინასწარმეტყველებთ. თუმცა, საფრთხე, რასაკვირველია, არსებობს. რისკები გაძლიერდება, თუ ძალიან მკვეთრად არ მოხდება პუტინის შეჩერება საერთაშორისო მასშტაბით.

– ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების პროცესში განსაკუთრებულად გამოიკვეთა „ნაციონალური მოძრაობისა“ და რესპუბლიკური პარტიის გაუფორმებელი ალიანსი...

– სამწუხაროდ, „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ იდეოლოგიური მსგავსება ახალი მოვლენა არ არის. „ნაციონალური მოძრაობა“ ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში, როცა გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა აფხაზეთთან დაკავშირებული კონცეფცია. ეს იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო პროექტი, რომელიც ერთად შეიმუშავეს „რესპუბლიკელებმა“ და „ნაციონალებმა“. თავიდან ეს ერთობლივი პროექტი იყო. მერე „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია უკეთესობისკენ შეიცვალა და უფრო მისაღები გახდა. მათი პოზიცია, „რესპუბლიკელებისაგან“ განსხვავებით, გაუმჯობესდა. ზოგადად, საგარეო პოლიტიკის საკითხებში „ნაციონალების“ მოსაზრებები უფრო მისაღებია, ვიდრე „რესპუბლიკელებისა“, თუმცა საერთო ძირები მათ მაინც აერთიანებს.

– ეს ძირები თქვენ მიერ ნახსენებ კონცეფციასთან მიდის. ამ პროექტით ხდებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება?

– ფაქტიურად. საფრთხე ფედერალიზაციაშიცაა, მაგრამ ეს პროექტი ფედერალიზაციაზე გაცილებით შორს მიდიოდა. ამ კონცეფციაში საქართველო და აფხაზეთი ცალ-ცალკე სახელმწიფოებად იყო წარმოდგენილი. ფაქტიურად, პირდაპირ ეწერა, რომ აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა. მას აქვს დამოუკიდებლობის უფლება და უნდა, სულ ცალკე იარსებებს, ან რომელიმე კავშირში შევა. ანუ ის ცნობილი იქნება დამოუკიდებლად საერთაშორისო მასშტაბითაც. დღეს რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია, მაგრამ მისი დამოუკიდებლობის აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით ვერ მიაღწია. თუ საქართველო ამაზე თვითონ წავა, მაშინ პრობლემა იხსნება. კონცეფციაში ჩადებული იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ეს უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო კავშირი. ეს არ არის სახელმწიფო. ესაა დროებითი კავშირი, რომელიც შეიძლება დაიშალოს. „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ კონცეფცია გულისხმობდა იმას, რომ საქართველოს ეცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ანუ, გაეფორმებინა ის, რასაც რუსეთი ვერ ახერხებს.

– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხის გამო სერიოზული ვნებათაღელვა მოჰყვა თვითმმართველობის კოდექსის თავდაპირველ ვარიანტსაც..

– მისი განხილვის დროსაც „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ ერთმანეთთან არანაირ წინააღმდეგობაში არ ყოფილან. „ნაციონალები“ პრინციპულ საკითხებზე არ გამოსულან და სახელმწიფოებრივი პოზიცია არ გამოუხატავთ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროსაც არ გამოთქმულა განსხვავებული მოსაზრებები. პირიქით, საზოგადოებას ეს ძალები ერთად ატყუებდნენ, თითქოს ამ კანონის მიღება და საერთოდ, მამათმავლობის მხარდაჭერა ევროკავშირის რეკომენდაცია იყო. ისინი ხალხს ატყუებენ. პარლამენტის თავმჯდომარემ, უსუფაშვილმა, ამ განხილვების პროცესში ოფიციალურად განაცხადა, ან რუსეთში უნდა დავრჩეთ, ან ევროპაში შევიდეთო. საკითხის ასე დასმა არასწორი, უფრო მეტიც, პროვოკაციულია. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ევროპა ჩვენთვის ზიანის მომტან რამეს გვაიძულებს. უსუფაშვილის ნათქვამიდან გამოდის, რომ ესაა გზა ევროპისაკენ. ისტორიულად, ევროპაში მამათმავლობა თითქმის არ ყოფილა გავრცელებული. ეს მანკიერი მოვლენა უფრო მეტად აზიაში არსებობდა. ჩვენ ამ მანკიერებასთან რუსეთის მხრიდან გვქონდა შეხება. ვგულისხმობ გიორგი რუსის ისტორიას. ასე რომ, ჰომოსექსუალიზმის ევროპასთან დაკავშირება სიყალბეა. ევროპა ჩვენგან არ ითხოვს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. საუბარია შემწყნარებლობაზე მათ მიმართ. ახლა აღარაა ის დრო, როცა ჰომოსექსუალებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ.

– „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგაც შეთანხმებულად იბრძვიან...

– ეს ძალები „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ერთად მოდიან და არაფერი არ არის გამორიცხული.

ნათია ხურცილავა

# „ევროპისკენ სწრაფვა საქართველოს წიაღიდან წამოსული სურვილია“

**ნატოს უელსის სამიტის წინ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სტუმრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. უილიამ ჰეიგი სამუშაო ვიზიტით თბილისში იმყოფებოდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საქართველოში ვიზიტით რამდენიმე წელია არ ყოფილა.**

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრა საგარეო უწყებაში თავის ქართველ კოლეგასთან დაიწყო. პირისპირ შეხვედრაზე საგარეო უწყების პირველმა პირებმა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრებმა პრესკონფერენციაზე განცხადებები გააკეთეს.

— ახლოვდება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და ნატოს უელსის სამიტი. ისტორიულ მომენტში, ამ ვიზიტს განვიხილავთ ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულებად. ძალიან ვაფასებთ ამგვარ მხარდაჭერას პირადად ბატონი ჰეიგისა და ზოგადად გაერთიანებული სამეფოს მხრიდან, ქვეყნისა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს მრავალწლიანი მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. დღეისთვის ჩვენი ქვეყნები ინტენსიურად თანამშრომლობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა: თავდაცვა, მართლმსაჯულება, ვაჭრობა და ეკონომიკა, განათლება, კულტურა. აქტიურია ჩვენი თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებშიც. ამგვარი რეალობა კი გვაძლევს იმის მყარ საფუძველს, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდეს და ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელებით. — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

როგორც პრესისთვის გახდა ცნობილი, საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ სამინისტროებს შორის ყოველწლიური ორმხრივი დიალოგი განახლდება.



— შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ევროკავშირთან ურთიერთობებსა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. ჩემს ბრიტანელ კოლეგას კიდევ ერთხელ დავუდასტურე საქართველოს მთავრობის მზაობა, არაუგვიანეს ივნისისა, ხელი მოვაწეროთ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მისი ყველა კომპონენტით. ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის მთავარ გეგმას და, შესაბამისად, საქართველოს მთავრობას უკვე შემუშავებული აქვს ამ გეგმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები. — აცხადებს ფანჯიკიძე.

ქართველი დიპლომატი აღნიშნავს, რომ მან ბრიტანელი კოლეგა დაარწმუნა იმ პროგრესში, რომელიც ქვეყანამ განიცადა და ამის ასახვას უელსის სამიტზე ველოდებით. ფანჯიკიძე ხაზს უსვამს ბრიტანეთის მხარდაჭერის მნიშვნელობას მაპის მონიჭების პროცესში.

— მტკიცედ გვჯერა, რომ საქართველომ მკაფიოდ აჩვენა ის პროგრესი, რაც ნატოს ასპირანტ ქვეყანას მოეთხოვება და შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესი ადეკვატურად შეფასდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალ სამიტზე უელსში. ჯერ კიდევ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ვფიქრობთ, დადგა დრო, გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები ალიანსის ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრიტანეთის მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში, ვინაიდან ბრიტანეთი ნატოს მომავალი სამიტის მასპინძელი ქვეყანაა და მივიჩნევთ, რომ სწორედ ეს სამიტი იქნება შესაფერისი მომენტი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებისთვის. მისასალმებელია, რომ ჩვენმა სტუმარმა ხაზი გაუსვა საქართველოს წვლილს ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ასევე ცნობილი გახდა, რომ საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.

— განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით არსებულ სიტუაციას, კერძოდ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების გამუდმებულ პროვოკაციებს, რაც მოიცავს მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცებას, მავთულხლართების გავლებას, საჰაერო სივრცის დარღვევას. — ამბობს მაია ფანჯიკიძე.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ნატო დიდად აფასებს საქართველოს წვლილს ავღანეთის მისიაში.

— ევროპისკენ სწრაფვა, ეს არის საქართველოს წიაღიდან წამოსული სურვილი და ამას ევროპა არ აძალებს საქართველოს. ასევე, ქვეყნის სურვილია დემოკრატიის გაძლიერება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ჩვენ ამ ამბიციებს რასაკვირველია, მივესალმებით. ამისთვის გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელია და ეს დემოკრატიის წესია. აგრეთვე, მივესალმები იმას, რომ თუ რაოდენ წარმატებით დასახა საქართველომ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით პერსპექტივები. სულ მალე ქვეყანა ხელს მოაწერს ასოცირების ხელშეკრულებას, რაც იძლევა იმის პოტენციალს, რომ გაიზარდოს საქართველოდან ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. ეს ბრუნვა ალბათ, წელიწადში 12%-ს მიაღწევს და, შესაბამისად, საქართველოში უფრო მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდება. ასევე, მეტი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარების, რაც საბოლოო ჯამში თქვენს მომავალს წაადგება. მე დიდად ვაფასებ თქვენს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოებაში, ავღანეთში, ნატოს ოპერაციებში. ვიცი მსხვერპლის შესახებ, რაც ამ თანამშრომლობამ გამოიწვია და მინდა, დიდი გულისტკივილი გამოვთქვა და მივუსამძიმრო იმ ოჯახებს, რომლებმაც შვილები დაკარგეს. ახლა კი, საქართველო სულ მალე ახალ მისიას შეუდგება სამხრეთ აფრიკაში და ამ ყოველივეს ნატო აფასებს. — განაცხადა უილიამ ჰეიგმა.

რაც შეეხება ნატოს მომავალ სამიტს, მან სიამაყით აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფო იქნება ამ სამიტის მასპინძელი.

— ვფიქრობ, რომ უელსში ჩვენ გავაერთიანებთ ძალისხმევას, რომ მივაღწიოთ პროგრესს. დღენიადაგ ვზრუნავთ იმაზე, რომ ჩვენი თანამშრომლობა გავაღრმავოთ. ეს თანამშრომლობა დიდი ხანია, დაწყებულია და ის საკმაოდ ცოცხალ პროცესში მიმდინარეობს, იგივე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ, სასამართლო რეფორმის კუთხით, განათლებისა და კულტურის სფეროებში. ჩვენ, ასევე სპეციალური მრჩეველი გვყავს გამოგზავნილი საქართველოში თავდაცვის სფეროში და სიხარულიათ მინდა, აღვნიშნო, რომ მსურს ამ ურთიერთობების გაღრმავება. — განაცხადა უილიამ ჰეიგმა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებასაც გამოეხმაურა.

— როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, არ გვინახავს არავითარი საბუთი იმისა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს იმ არეალიდან, სადაც იყვნენ დაბანაკებულნი ბოლო პერიოდში. რამდენადაც ვიცი, საკმაოდ დიდი ძალაა თავმოყრილი აღმოსავლეთ უკრაინის გასწვრივ და ჩვენ, რასაკვირველია, მოვითხოვეთ, რომ დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, ეს ძალები გაყვანილ იქნენ, თუმცა ამის რეალურ ნიშნებს ვერ ვხედავთ. — განაცხადა უილიამ ჰეიგმა.

ბრიტანელი დიპლომატის განცხადებით, საგარეო საქმეთა მინისტრები ამ თემებზე მსჯელობენ, მუდმივად განიხილება უკრაინის თემა და ევროკავშირი გააგრძელებს სანქციების პროცესს, რომელიც შორეული მომავლისკენ იქნება მიმართული.

ჰეიგი ამბობს, რომ სანქცირების პროცესი არ შეწყდება. ბრიტანელმა დიპლომატმა რუსეთს მოუწოდა, შეწყდეს დაძაბულობა, რათა აღიკვეთოს ე.წ. რეფერენდუმები.

ბოლო შეხვედრა გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან გამართა.

უილიამ ჰეიგმა პრემიერთან სამუშაო სადილის შემდეგ საქართველოში ვიზიტი შეაჯამა და აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრთან ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა და უილიამ ჰეიგმა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივაზე იმსჯელეს.

ბრიტანეთის საგარეო უწყების შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთანაც ჰქონდა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პრეზიდენტმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ბრიტანეთის მხარდამჭერ პოზიციებზე იმსჯელა.

შეხვედრაზე ასევე, საუბარი შეეხო იმ დემოკრატიულ რეფორმებსაც, რომლებსაც ქვეყანა ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებს.

# მუხროვანის საქმეზე ლევან ტაბიძე დააკავეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მელსაც სახეში რამდენიმეჯერ გაარტყა ხელი, ხოლო შემდეგ გადაინაცვლა დასთან ნათია ზარიძესთან, რომელიც გადმოაგდო საწოლიდან და ძირს დაგდებულს დაუწყო უმოწყალოდ ცემა, რის შემდეგაც გადაინაცვლა სამზარეულო ოთახში, სადაც ამ ყველაფრის შემსწრე მურად ზარიძის დედას რუსიკო ივანიძეს, რომელიც ხმამაღლა ითხოვდა შველას, თავის არეში ძლიერად დაარტყა მუშტი, დააგდო ძირს და კვლავ განაგრძო მისი ცემა, რა დროსაც ლევან ტაბიძე მურად ზარიძის ოჯახის წევრებისგან დაჟინებით მოითხოვდა ძებნილ კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას.

იმის გამო, რომ ლევან ტაბიძემ და მისმა თანხმლებმა პირებმა ძებნილი კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის დადგენის კუთხით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, მურად ზარიძეს და მისი ოჯახის ყველა წევრს, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაიყვანეს ე.წ. „მოდულის“ შენობაში.

მოდულის შენობაში, მურად ზარიძე და მისი ოჯახის წევრები რიგრიგობით შეჰყავდათ ლევან ტაბიძის სამუშაო კაბინეტში, სადაც გრძელდებოდა მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, მათ შორის ფიზიკური ანგარიშსწორება და მუქარა ხორციელდებოდა მურად ზარიძის მცირეწლოვან – 1 წლის ბავშვის მისამართით, რის შემდეგაც ნათია ზარიძემ ვერ გაუძლო მასზე განხორციელებულ ძალადობას და მიაწოდა მათ მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია კობა ოთანაძის ადგილსამყოფელის თაობაზე.

წამებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2009 წლის 20 მაისს, ქალაქ თბილისში, თიანეთის გზატკეცილზე ჩატარდა სპეცოპერაცია, რა დროსაც გია კრიალაშვილი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ხოლო კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე კი მძიმედ დაიჭრნენ.

ლევან ტაბიძეს, ზარიძეების ოჯახის წევრების მიმართ გამოჩენილი სისასტიკის და ამ გზით ძებნილი პირების ადგილსამყოფელის შესახებ მიღებული ინფორმაციის მოპოვებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის ბრძანებით გადაეცა ფულადი პრემია 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, უწყება აქტიურად აგრძელებს გამოძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილისა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ერეკლე კოდუას ხელმძღვანელობით ჩატარებული ე.წ. „მუხროვანის ამბოხებისთვის“ ძებნილი პირების კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციის დანაშაულებრივი გარემოებების დასადგენად.

# სოფლის მეურნეობის მინისტრი სტუდენტებს შეხვდა

შორენა გონგლაძე

ევროპული კვირეულის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ აგრარული და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტებს უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ზურაბ ჩეკურაშვილი ესწრებოდნენ. როგორც სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრის მთავარი თემა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობის განხილვა იყო, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

— თქვენ სოფლის მეურნეობის დარგის მომავალი სპეციალისტები ხართ. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა სოფლის მეურნეობის დარგში დღეს მიმდინარე პროცესებში; ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ მიიღოთ კარგი განათლება, მნიშვნელოვანია, ჩვენ შევძლოთ და მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი გახდეთ პროფესიონალები და თქვენი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება მოგეცეთ. მინდა აღვნიშნო პრემიერის ახალი ინიციატივის შესახებაც, რაც სტუდენტებისთვის განათლების მიღებაში სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას გულისხმობს და ერთმნიშვნელოვნად საუკეთესო საშუალებაა ჩამოყალიბდეთ თქვენი საქმის კარგ მცოდნეებად, გახდეთ პროფესიონალები... ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ევროპის კვირეულის ფარგლებში ტარდება. მინდა დღეს თქვენთან ერთად საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. მოგეხსენებათ, სულ მალე ჩვენი ქვეყანა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას გააფორმებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს, — განაცხადა შეხვედრაზე შალვა ფიფიამ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე სტუდენტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანამშრომლობას, რომელიც არსებობს საქართველოს მთავრობის უწყებებს შორის. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ზურაბ ჩეკურაშვილმა დეტალურად ისაუბრა სურსათის უვნებლობის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ ქართველ მწარმოებლებს საშუალება მიეცემათ ეტაპობრივად დანერგონ ის სტანდარტები, რასაც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს.

მისი ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს.

საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას.

შალვა ფიფიას, მიხეილ ჯანელიძისა და ზურაბ ჩეკურაშვილის მოკლე მოხსენებების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა და სტუდენტების მიერ სხვადასხვა საკითხზე დასმულ კითხვებს უპასუხეს.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

ნარკოზისა და უკუჩვენების, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, [illegible] ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დაიკლებთ სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შესაძლებელია სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. [illegible]

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ია ანთაძე: პარლამენტმა კომიკური გადაწყვეტილება მიიღო“

თამარ ნინიძე

— უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რომელიც ყველა მოქალაქეს დაიცავს ამ მანკიერებისგან. — ასეთია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელ ია ანთაძის პოზიცია. „ახალ თაობას“ ია ანთაძე მედიის დღევანდელ მდგომარეობაზე ესაუბრა.

***— უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით გავიგეთ, რომ იყო ფაილები, რომლებიც განადგურდა. ახლა „რუსთავი 2“-ის სკანდალთან დაკავშირებით ამ პროცესებს როგორ შეაფასებთ?***

— სჯობს, დაველოდოთ გამოძიებას, ვიდრე კატეგორიულ შეფასებებს გავაკეთებდეთ, იმიტომ რომ ჟურნალისტის საქმეა, დადასტურებულ ფაქტზე ისაუბროს, თუმცა, ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება თითოეული ჩვენგანი აღმოვჩენილიყავით ასეთ მდგომარეობაში, როცა ჩვენს საქმიან საუბრებს იწერენ და ხდება ხელმისაწვდომი ყველასათვის, ფსიქოლოგიურად ეს მძიმე წნეხია ნებისმიერი ადამიანისთვის, ამიტომ ჩვენ, როგორც საზოგადოებამ, პირველი, რაზეც უნდა ვიზრუნოთ, ის არის, რომ საერთოდ აღარ იყოს ასეთი უკანონო მოსმენები, საუბრები დ ვიდეოთვალთვალი. ამისთვის, მე ვფიქრობ, უნდა მოვითხოვოთ, რომ კანონპროექტი, რომელიც დევს პარლამენტში, იყოს მიღებული დროულად. ამიტომ ჩნდება ეჭვები ჩემში პირადად, სრულებით არ არის სასაცილო არც გოგა ხაჩიძის ექსპერიმენტი, დაცინვის საგანი არ არის ის, რაც მოხდა „რუსთავი 2“-ზე. ყველაზე მეტ ეჭვს მიჩენს ის, რომ ხელისუფლება არ არის მონდომებული, თავად გადაჭრას პრობლემა საკანონმდებლო დონეზე. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, შეიცვალოს კანონმდებლობა, აღსრულდეს იმგვარად კანონი, როგორც ის პარლამენტმა მიიღო, ყველა ასეთ შემთხვევაზე უნდა მოვითხოვოთ სერიოზული გამოძიება, დღეს ეს საკითხები წყდება იმ დონეზე, ვის ვისი სჯერა ან ვის ვისი არ სჯერა. ზოგს სჯერა ნიკა გვარამიასი, ზოგს კი — ხელისუფლებისა, მაგალითად პრემიერ-მინისტრის, რომელიც ისევ იმავე ტერმინოლოგიით ლაპარაკობს და კითხულობს, თქვენ გჯერათ, რასაც „რუსთავი 2“ ამბობს? მე მინდა, არა მჯეროდეს ვინმესი, არამედ, ვიცოდე ფაქტი.

***— „ეს შენ გეხება“ არასამთავრობოების აქციაც უკანონო მოსმენებს ეხება, „ჯეოსელთან“ დაკავშირებით აგორდა ეს სკანდალი, ღარიბაშვილი ამას არასერიოზულად უყურებს, მაშინ როდესაც გაირკვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარისა და ვიცესპიკერის კაბინეტებშიც იყო მსგავსი მოსასმენი ტექნიკა დამონტაჟებული.***

— სად გაირკვა?

***— პრესაში დაიწერა ამაზე.***

— გაზეთებში რა დაიწერა, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, გაზეთებში ბევრი რამ იწერება ისეთი, რაც არ დასტურდება არაფრით. პირველ რიგში, რატომ დაიწყო კამპანია „ეს შენ გეხება“. ეს აქცია იმიტომაც დაიწყო, რომ ხელისუფლებამ დროულად არ მიიღო კანონი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე დააზღვევდა მოქალაქეებს. ამ ტიპის კამპანია ამიტომ გახდა საჭირო, თორემ, რომ ყოფილიყო ხელისუფლების კეთილი ნება, დიახ, მათ უნდათ, რომ აღმოიფხვრას ის მავნე პრაქტიკა, რაც იყო გასული წლების განმავლობაში, მზად არიან, მიიღოს ეს კანონი პარლამენტმა, ამან გააჩინა დიდი შიში, რომ ხელისუფლება ასე ადვილად ვერ შეელევა ამ ბერკეტს, რასაც ჰქვია უკანონო თვალთვალი და მოსმენა. მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია დღეს, რომ ხელისუფლება ამ უკანონო მოსმენებით მოპოვებულ მასალებს ისე უხეშად და ცინიკურად აღარ იყენებს, როგორც ამას იყენებდა წინა ხელისუფლება, როცა ერთი წამითაც არ რცხვენოდათ, რომ არ ჰქონდათ ამგვარი ჩანაწერების კეთების უფლება, რომელსაც თავად ასაჯაროებდნენ. ახლა ეს არ ხდება, მაგრამ პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ხდება უკანონო თვალთვალი და ეს ხელისუფლებაც იყენებს ძველი ხელისუფლების ამ დატოვებულ ბერკეტს. იმიტომ ვარ ამაში დარწმუნებული, რომ ვერ ვხედავ პოლიტიკურ ნებას, სწრაფად წავიდეთ წინ საკანონმდებლო დონეზე.



***— ჟურნალისტთა ქარტიის მხრიდან იყო პრეტენზიები, რომ გაზეთები საქართველოში არ იცავენ ჟურნალისტურ ეთიკას და თვითცენზურა არ არის. მინდა, უფრო ნათლად გავარკვიოთ მკითხველი, რა ხდება ამასთან დაკავშირებით.***

— ჟურნალისტური ქარტია იმისათვის არის, რომ დამკვიდრდეს ჟურნალისტური სტანდარტი, რომელიც მსოფლიოში მოქმედებს. მართალია, საქართველოში არიან ჟურნალისტები, რომლებიც არიან ქარტიის ხელმომწერები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც არ აღიარებენ ქარტიის პრინციპებს. წელს მოხერხდა, რომ ქარტიის წევრების გადაწყვეტილებით ქარტიის საბჭოს მიეცა საშუალება, განიხილოს ისეთი შემთხვევები, როდესაც საკითხი ეხება სტანდარტის დაწესებას და არ ეხება ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტის მედიაპროდუქტის განხილვას მხოლოდ. ქარტიის საბჭომ მიიღო უფლება, განიხილოს ისეთი შემთხვევები, როცა ავტორები არ არიან ქარტიის ტექსტის ამღიარებლები, მაგრამ იმისთვის, რომ ზოგადად საზოგადოებამ იცოდეს, რა არის სტანდარტი და რა არის სწორი ან არასწორი, მრავალწლიანი განხილვის შემდეგ საბჭოს მიეცა საშუალება, განიხილოს ამა თუ იმ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები. მე მივეცი ხმა ამ ცვლილებას. მიმაჩნია, რომ ეს სწორია. ძალიან გამიხარდება, თუ ქარტიაში იქნება ბევრი შემთხვევა, როდესაც ყველა ერთად მივადევნებთ თვალს, თუ როგორ იქნა დაცული ჟურნალისტური სტანდარტი.

***— პრესის დისკრედიტების მცდელობებზე საუბრობენ თავად ბეჭდური მედიასაშუალებები, ეს გამოცემების ბრალია თუ ხელისუფლების პიარკამპანიაა, რომ გააჩინოს უნდობლობა პრესის მიმართ საზოგადოებაში?***

— მე მაქვს მყარად ჩამოყალიბებული აზრი ამასთან დაკავშირებთ. ჩვენ შევესწარით პერიოდს, როცა გაზეთები იყო ძალიან პოპულარული, და ასევე ისეთ პერიოდებს, როცა გაზეთები იყო ძალიან არაპოპულარული საქართველოში. ახლაც ერთ-ერთი რთული დრო დგას გაზეთებისთვის. ამის მიზეზი ის არის, რომ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული პროდუქტები, სტატიები, რომლებიც ამა თუ იმ გაზეთში ქვეყნდება, იაფად ღირებული პროდუქტია. საქართველოში არ არის გაზეთი, რომელშიც სერიოზული ინვესტიციაა ჩადებული და ავტორებსაც ექნებოდათ ღირსეული ანაზღაურება. იმისთვის რომ მოამზადო კარგი ჟურნალისტური გამოძიება სტატიის სახით, შესაძლებელია, ჟურნალისტს დასჭირდეს ერთი თვე ან მეტი დროც, ამ ხნის განმავლობაში მას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ მხოლოდ ამ გამოძიებაზე იმუშაოს, შემდეგ, როცა ეს სტატია დაიბეჭდება, უნდა მიიღოს ისეთი ჰონორარი, რომელიც მის თვიურ ანაზღაურებას უტოლდება. დღეს ჩვენთან არც ერთ გაზეთს არა აქვს იმის საშუალება, რომ დაელოდოს, ვილაცა კარგ სტატიას როდის დაწერს და გადაუხადოს იმდენი, რამდენიც ის ღირს. ჩვენს არასამთავრობო საზოგადოებას გამოგვიცხადებია კონკურსები სიღრმისეულ რეპორტაჟებზე, გადაგვიხდია ევროპული სტანდარტებისთვის მისაღები ჰონორარები. როცა ერთ სტატიაში ვიხდით შვიდას ორმოცდაათ ევროს, წარმოიდგინეთ, ეს სტატია როგორ სრულყოფილად უნდა ასახავდეს იმ სფეროში არსებულ მდგომარეობას, თავისი საკანონმდებლო ბაზით, ექსპერტების შეფასებებით, ხელისუფლების პოზიციით. დღეს რომელ საგაზეთო ჟურნალისტს აქვს იმის დრო, რომ ასეთ სტატიაზე იმუშაოს და სერიოზული ანაზღაურება მიიღოს. როცა კონკურსებს ვაცხადებთ, დიდი თავპირისმტვრევა ჟურნალისტების მხრიდან არ არის. გვიკვირს, რატომ არ არის მოთხოვნა ისეთ სტატიაზე, რომელშიც თუნდაც ხუთას დოლარს ვიხდით. ჟურნალისტები მიჩვეული არიან, რომ სწრაფი პროდუქტი შექმნან.

***— ბადრი პატარკაციშვილმა და თემურ ბასილიამ დააარსეს გაზეთები და ჩადეს სოლიდური დაფინანსება ამ გაზეთებში.***

— ძალიან ცოტა ხნით იარსებეს ამ გაზეთებმა, სწორედ იმიტომ, რომ მათ მფლობელებს აღარ ულირდათ სერიოზული ინვესტიციების ჩადება ამ გაზეთების შენახვაში.

***— წინა ხელისუფლების დროსაც იყო გაზეთების მიმართ აგდებული დამოკიდებულება. არც ამ ხელისუფლების მხრიდან ჩანს, რომ უნდათ სერიოზული თანამშრომლობა. ხომ არის სტატიები, რომლებშიც ჟურნალისტები პროკურატურისგან ითხოვენ რეაგირებას.***

— რა თქმა უნდა, ღმერთმა დაიფაროს, ისეთ მდგომარეობაში ვიყოთ,^ რომ არაფერი იყოს, მთლიან პრობლემაზე ვამბობ, გაზეთებში და საააგენტოებში ძალიან საინტერესო მასალები იდება, ძალიან კარგი ჟურნალისტებიც გვყავს, მაგრამ ეს გამონაკლისია. სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ ჟურნალისტებს, რომლებსაც ინფორმაცია აკლიათ ხელისუფლებისგან. რეგიონებში მშვენიერი გაზეთები იყო, მაგრამ ნელ-ნელა დაიხურა და ყველა გადავიდა ონლაინ რეჟიმზე. ყველა ქვეყანაში, რომელსაც აქვს დემოკრატიული ცხოვრების ტრადიცია, გაზეთები გავლენიანია, გაზეთებს საზოგადოება დიდ პატივს სცემს.

***— საკონსტიტუციო სასამართლომ ბორდის ძველი შემადგენლობა აღადგინა სამსახურში. ამან გამოიწვია ხელისუფლების უკმაყოფილება და ამ ბორდს მაკონტროლებელი ორგანო უნდა რომ შეუქმნას. რა ხდება საზმაუწყებლის ირგვლივ?***

— რეფორმა იმიტომ იყო ჩაფიქრებული, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ ასრულებდა თავის ფუნქციას. მას უნდა დაჰბრუნებოდა მისი ფუნქცია. პარლამენტმა გაიზიარა საზოგადოების ამ ნაწილის აზრი, მაგრამ კანონის მიღების შემდეგ დაიწყო პროცესი, როცა უნდა დაკომპლექტებულიყო ახალი სამეურვეო საბჭო, ხოლო მერე მას უნდა გაეკონტროლებინა აღმასრულებელი ხელისუფლება, ტელევიზიის დირექტორი უნდა შეეცვალა, თუკი ჩათვლიდა, რომ ის ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა. მე ამ პროცესის მონაწილე ვიყავი, საზოგადოებრივი საბჭოს წევრი ვიყავი და მიმაჩნია, რომ ეს პროცესი ჩავარდა მთლიანად. ძველი საბჭო, რომელიც ბევრი ნიშნით დაწუნებული იყო. პარლამენტმა მიიღო კომიკური გადაწყვეტილება, დანიშნა ახალი მოწონებული საბჭოს მეთვალყურედ. ასეთი არანორმალური სიტუაციაა და გული მწყდება იმაზე, რომ თვითონ პარლამენტი არ აღიარებს, რომ ეს პროცესი ჩავარდა. ამას სჯობს ვაღიაროთ, რომ უფრო უკეთესი დრო დადგება, როცა იქნება პოლიტიკური ნება და მაუწყებელი შეიცვლება. წნეხი აღარ არის მაუწყებელზე. ეს ძალიან კარგია. ეს ეთერი უკეთესია, ვიდრე წლების წინ იყო. ჩვენ მაინც სულ სხვა რამ გვინდა, რომ მაუწყებელი ყოფილიყო ის მედიაორგანიზაცია, რომელიც სრულიად ახალ სააზროვნო სივრცეს დაუდებდა საფუძველს.

***— ფაქტია, რომ საზოგადოება დაინტერესებულია, არსებობდეს მაუწყებელი და მისი გადასახადებით ფინანსდება ეს ორგანო. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ მუდმივად არეული ვითარება იქნება მაუწყებელზე, იქნებ საერთოდ გაუქმდეს ეს ტელევიზია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

— მე მომხრე ვარ, რომ საზმაუწყებელი არსებობდეს, იმიტომ რომ საზმაუწყებელს აქვს გარანტირებული ფინანსები იმისათვის, რომ მან სერიოზულად მისცეს ტონი სხვა ტელევიზიებს, შესთავაზოს ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქტი. ეს, ზოგადად, შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელია შესაბამისი პოლიტიკური ნების გარეშე. ევროპელებმა ძალიან კარგად იციან, რა პროცესები ვითარდება საზოგადოებრივ მაუწყებელზე. მე არ ვიცი, დემოკრატიით როგორ გავაკვირვებთ ევროპას რომელიმე სფეროში განსაკუთრებული წარმატებით. მხოლოდ იმით, რომ არჩევნებს ამ ბოლო დროს დარღვევების გარეშე ვატარებთ. თუ თვითმმართველობის არჩევნებს ჩავატარებთ ხარვეზების გარეშე, ამით ევროპისგან კიდევ უფრო მეტ ნდობას მოვიპოვებთ.

## თბილისის მერობისთვის ირმა ინაშვილიც იბრძოლებს



პოლიტიკურ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“, თბილისის მერობისთვის კენჭს ჟრნალისტი ირმა ინაშვილი იყრის.

თვითმმართველობის არჩევნებზე დედაქალაქის მერობის კანდიდატი და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატთა პირველი სამეული, ალიანსის ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა წარადგინა.

პარტიის წევრებმა გუშინ გაერთიანების ხუთ პუნქტიან გეგმაზეც ისაუბრეს, რომელიც დედაქალაქში სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ირმა ინაშვილის თქმით, მათი მთავარი ამოცანა ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაა.

„დღეს ზუსტად ის პროგრამა წარვადგინეთ, რაც ვფიქრობთ, რომ ადამიანების ცხოვრებას რაღაცით მაინც შეცვლის. ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი მხარდაჭერა გვექნება, მე ამას ვგრძნობ და ვამბობ, რომ ჩვენი მხრიდან არ იქნება ტყუილი და ღალატი“– განაცხადა ირმა ინაშვილმა.

საკრებულოში ალიანსის პროპორციული სიის პირველი ნომრები სოსო მანჯავიძე, ადა მარშანია და მანუჩარ მაჩაიძე იქნებიან.

**ნიუსპრესი**

## სოფელ ფოკაში მცხოვრები მამა-შვილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში მცხოვრები მამა-შვილი, 1964 წელს დაბადებული სეირან ჰ. და 1989 წელს დაბადებული ვოლოდია ჰ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 25 აპრილს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკასთან ახლოს მდებარე მარაბდა-კარწახის მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალიდან 156 ცალი რელსის გადასაბმელი და სხვა მასალები მოიპარეს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მოპარული სარკინიგზო მასალების საერთო ღირებულება დაახლოებით 6000 ლარს შეადგენს. სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით.

**მედიანიუსი**

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 13,6450 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 11,3253 გრ ჰეროინს შეიცავს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.



გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გამოძიებას ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე - გიორგი ქირიას
პ/ნ - 62001020857

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330001-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 828330001-ა |

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330002 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330002-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 828330002-ა |

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330003 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 828330003-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 828330003-ა |

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესაბამისად ვალდებული ხართ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ დავალიანება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებობის შემთხვევაში, თუ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების) შესახებ.

პატივისცემით,

სს „ბითიეი ბანკი“

მოქალაქე - გურამ ჯაბუა
პ/ნ - 33001052012

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450001-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 827450001-ა |

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450002 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450002-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 827450002-ა |

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450003 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 827450003-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 827450003-ა |

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესაბამისად ვალდებული ხართ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ დავალიანება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებობის შემთხვევაში, თუ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების) შესახებ.

პატივისცემით,

სს „ბითიეი ბანკი“

მოქალაქე - ივანე დათუაშვილი
პ/ნ - 01030016844

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

| | |
|---|---|
| გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება | N 822840001 |
| საკრედიტო ხელშეკრულება | N 822840001-1 |
| გირავნობის ხელშეკრულება | N 822840001-ა |

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესაბამისად ვალდებული ხართ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ დავალიანება ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებობის შემთხვევაში, თუ წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების) შესახებ.

პატივისცემით,

სს „ბითიეი ბანკი“

## გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნება უუნარო და უსუსურია“



გუშინ სპორტის სასახლეში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა გაიმართა. შეხვედრა ევროპის ჰიმნით დაიწყო, რის შემდეგაც შეკრებილ საზოგადოებას „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ მიმართა.

მისი თქმით, საქართველო ევროპის ნაწილი უნდა გახდეს და ამისთვის ყველამ ერთად მუხლჩაუხრელად უნდა იშრომოს. მან მოქმედი ხელისუფლება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას შემგუებლური დამოკიდებულება აქვს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ქვეყანაში განვითარებლ მოვლენებთან დაკავშირებით, მათ შორის მავთულხლართების გავლების პროცესსაც გაუსვა ხაზი.

მისი თქმით „ქართული ოცნება“ უსუსურია და უუნარობას ამჟღავნებს, შიდა პროცესების მოსაგვარებლად, ასევე უუნაროა საგარეო ურთიერთობების სწორად წარმართვის კუთხითაც.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარდამჭერებს შეხვედრაზე მერობისა და გამგებლობის კანდიდატებსაც წარუდგენს.

ნიუსპრესი

## რატომ არ დაფიქსირდა დიმიტრი ლორთქიფანიძის სახელი და გვარი ენდიაის კვლევაში

კოალიცია „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ინტერესდება იმით, თუ როგორ მოხდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაში არ დაფიქსირდა მისი სახელი და გვარი.

„როგორ მოხდა, რომ 26 მარტიდან 18 აპრილამდე წარმოებული კვლევების ფარგლებში არ დაფიქსირდა იმ კანდიდატის სახელი და გვარი, რომელიც ოფიციალურად წარდგენილ იქნა 4 აპრილს“ – აცხადებს ლორთქიფანიძე.

მისივე თქმით, კვლევასთან დაკავშირებით არავითარ კომენტარს არ გააკეთებს მანამ, სანამ ენდიაის საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო მის აღნიშნულ შეკითხვას პასუხს არ გასცემს. ენდიაის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 9% აცხადებს, რომ მათთვის სასურველი „ქდმ/დემოკრატიული მოძრაობის“ (ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია) მერობის კანდიდატია, თუმცა კანდიდატის სახელი და გვარი მითითებული არაა.

ნიუსპრესი

# „დევნილებისთვის განკუთვნილი მილიონი ლარი ნაციონალებმა მიითვისეს“

**უცნობი ერთი მილიონი ლარი – ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინეს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე შემოსული მილიონი ლარის გადაცემის საკითხს ეხება.**

**„ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებლისა და ხელმძღვანელის არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, 2011 წლის ივნისში საქველმოქმედო საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული 1,5 მილიონი ლარის ადგილნაცვალი პირებისთვის გადაცემის ფაქტის ნამდვილობა არ დასტურდება.**

**„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელ არჩილ კაიკაციშვილს ესაუბრა:**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო არჩილ, საკმაოდ სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა თქვენმა ორგანიზაციამ. აღნიშნულმა საკითხმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრს ეგონა, რომ აღნიშნული თანხები იმ პირებმა მიიღეს, რომლებისთვისაც ის იყო განკუთვნილი. რატომ დაინტერესდა თქვენი ორგანიზაცია აღნიშნული საკითხით და როდის ჩაატარეთ მონიტორინგი?***

– ჩვენ გადავწყვიტეთ, განგვეხორციელებინა საკითხის შესწავლა, თუ ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ ჩვენების შემდგომ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხები რამდენად იყო იმ მიზნობრიობის ფარგლებში მოქცეული, რომელსაც მისი ორგანიზატორები გვპირდებოდნენ და რეალურად ის დაპირება, რომ ფილმის საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხა გადაეცემოდა აგვისტოს ომში დაზარალებული და გარდაცვლილთა ოჯახის წარმომადგენლებს. ოთხას ოჯახზე იყო საუბარი. ჩვენ დავინტერესდით, რეალურად მოხდა თუ არა აღნიშნული ფაქტი. საზოგადოებას ახსოვს, რომ 2011 წლის 4-5 ივნისს გაიმართა თბილისში აღნიშნული ფილმის პრემიერა. თავად, როგორც ფაქტი, იყო კულტურული და პოლიტიკური ღონისძიება. შესაბამისად, ამ შემთხვევას მაშინაც განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა. განსაკუთრებით თუ ჩავთვლით იმ მდგომარეობას, რომ ორგანიზატორები, ბიზნესასოციაცია და ხელისუფლება, რომელმაც ისარგებლა აღნიშნული კულტურული ღონისძიების ფლაგმანობით და რუსეთის ფედერაციის მიმართ მორიგი მკვეთრი განცხადებები გააკეთა, საზოგადოების კრიტიკის ქვეშ მოექცნენ, იქიდან გამომდინარე, რომ სულ რაღაც ათიოდე დღის წინ, 26 მაისს, მომხდარი იყო ის ძალადობრივი დარბევა, რომელიც შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეაფასეს, როგორც ძალის გადამეტება, ანტიდემოკრატიული ქმედება და ამის გამო ხელისუფლებამ პასუხი შემდგომ უკვე საპარლამენტო არჩევნების დროს აგო. შესაბამისად, სწორედ ამ კონტექსტშია მნიშვნელოვანი ამ ფილმის პრეზენტაცია, ბიზნესასოციაციისა და ხელისუფლების ერთობლივი გადაწყვეტილება, რომ ფილმის პრეზენტაცია შემდგარიყო თბილისში. სწორედ საქველმოქმედო ვახშმის დასრულების შემდგომ მისმა ორგანიზატორმა, ბიზნესასოციაციამ გააკეთა განცხადება, რომ დაახლოებით მილლიონნახევარი ლარი იქნა შემოსული და ამ თანხას მიიღებდა აგვისტოს ომში დაღუპულთა, დაზარალებულთა ოთხასამდე ოჯახი. გარდა ამისა, ამ განცხადებასთან ახლდა ორგანიზატორების მხრიდან იმის დაზუსტება და აღნიშვნა, როდესაც მედიას გაუჩნდა შეკითხვები, ოთხასამდე ოჯახის სისტემატიზაცია რა ფორმით მოხდებოდა? მათ მიუთითეს სახელმწიფო სტრუქტურები, დასახელდა სამინისტროები: ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შს სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო. სწორედ ჩამოთვლილი სამინისტროები უზრუნველყოფდნენ ადგილნაცვალი პირების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მომზადებას, ბიზნესასოციაციისთვის გადაცემას და ამ მონაცემთა ბაზის შესწავლისა და სრულყოფის შემდგომ მოხდებოდა ოთხასამდე ოჯახის მიმართ ფულადი საჩუქრის გადაცემა.

***– რა რაოდენობის თანხა უნდა გადასცემოდა თითოეულ ოჯახს?***

– თითოეული ოჯახისთვის დასახელებულ იქნა 2500 ლარი. მოგვიანებით, როდესაც ეს ეიფორია ჩაცხრა, თავად ბიზნესასოციაციას ხელმძღვანელმა, გიორგი ჭირაქაძემ, 2011 წლის 20 სექტემბერს გამართა ბრიფინგი და მედიას დაუდასტურა ინფორმაცია, რომ საქველმოქმედო ვახშმიდან მართლაც შემოსული გახლდათ მილლიონ-ნახევრი ლარი. მან მიუთითა ჩემ მიერ ჩამოთვლილი სამთავრობო დაწესებულებები, რომლისგანაც მიღებულ ინ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# დევნილებისთვის განკუთვნილი მილიონი ლარი ნაციონალებმა მიითვისეს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ფორმაციას ისინი გაფილტრავდნენ და თანხების გაცემა დაიწყებოდა. თემა მიწყნარდა.

**— *თქვენი დაინტერესება რამ გამოიწვია?***

— სწორედ მანდ მივდივარ, მოგახსენებთ. როდესაც ამ ფილმის პრემიერა შედგა, ჩვენი ორგანიზაცია დაფუძნებული არ იყო. ჩვენი ორგანიზაციის დამფუძნებლები სხვადასხვა ორგანიზაციაში ვსაქმიანობდით, საადვოკატო საქმიანობას ვეწეოდით. მე ვმუშაობდი იმ კონკრეტულ ორგანიზაციაში, რომელიც ევროსასამართლოს საკითხებით იყო დაინტერესებული და უშუალოდ მიწევდა 26 მაისის საქმეებთან შეხება. როცა ჩვენ ორგანიზაცია დავაფუძნეთ, პირადად მე გამიჩნდა სურვილი, რომ ამ საკითხს გავყოლოდი. ბუნებრივია, მე ეჭვი არ გამჩენია მაშინ, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ღონისძიება, რომლის თანხები შეიძლება არამიზნობრივად დახარჯულიყო. ორგანიზაციამ დაფუძნების დღიდან სხვადასხვა პროგრამასთან ერთად დაიწყო ადგილნაცვალი პირების ადვოკატირების პროგრამის ამოქმედება, რომელიც ეხებოდა დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხებს, სასამართლოში გვქონდა არაერთი საქმე. 2012-13 წლებში დაახლოებით 70-მდე ბენეფიციარი დევნილის კონსულტირება მოახდინა ორგანიზაციამ და მაშინ რომ მქონდა შეხება საკითხთან, თითოეულ მათგანს ვეკითხებოდით, ვინც მოსული იყო პრობლემის თაობაზე, მიიღო თუ არა თანხა. ბევრი მათგანისთვის ეს იყო კურიოზი, ღიმილის მომგვრელი, სასაცილო, რომელ თანხაზეა საუბარიო. არც ერთ მათგანს არ დაუდასტურებია, რომ რაიმე თანხა მიიღო. ამდენი ადამიანი რომ გეუბნება, რომ არანაირი მოლოდინი არ გააჩნდა ამ ფილმიდან შემოსული თანხის მიღებასთან დაკავშირებით. ისინი უნდობლობით ეკიდებოდნენ მსგავს ფაქტს და ასეთი მოლოდინი საერთოდ არ გააჩნდათ. ჩვენ, ბუნებრივია, გაგვიჩნდა შეკითხვა — რა მოუვიდა საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსულ მილიონ-ნახევარ ლარს?! და სწორედ ამ დროს დავინტერესდით აღნიშნული საკითხით. ეს კვლევა 2013 წლის აგვისტოში დავიწყეთ და პირველი, რაც ჩვენმა ორგანიზაციამ გააკეთა, იყო კომუნიკაციის პროცესი ბიზნესასოციაციის მიერ დასახელებულ ხუთ სამინისტროსთან, ამ სამინისტროების პარალელურად — კომუნიკაციის ეტაპი თავად ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელობასთან. კომუნიკაციის პერიოდმა დიდი დრო წაიღო. დაახლოებით ხუთი თვის მანძილზე მიმდინარეობდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, გადამოწმება და შემდგომ დაზუსტება.

**— *რა ინფორმაციები მიიღეთ აღნიშნული სამინისტროებიდან და თუ გასცეს თქვენს კითხვებს პასუხი?***

— თითოეული სამინისტროდან მიღებული პასუხით, ოფიციალური ინფორმაციით, ყველა სამინისტრო ამბობს, რომ არამცთუ თანამონაწილე არ იყო ამ ღონისძიების, რასაც ჰქვია „აგვისტოს 5 დღის“ საორგანიზაციო მხარე, საქველმოქმედო ვახშმის პროცედურები და შემდგომ თანხების განკარგვასთან დაკავშირებით რაიმე თანამონაწილეობა, სიების გაცემასთან დაკავშირებით და ელემენტარულად თანამშრომლობა ბიზნესასოციაციასთან, მათ ზოგადად არანაირი შეხება არ გააჩნდათ თბილისში ჩატარებულ ამ ღონისძიებასთან მიმართებით. ეს იყო უკვე იმის ფაქტობრივი დადასტურება, რომ შეცვლილი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფონზე სამინისტროების მხრიდან ურთიერთობის ამ გახსნილმა ველმა მოგვცა მოულოდნელი შედეგი, რომ თურმე არც ერთი სამინისტრო არ მონაწილეობდა ამ ღონისძიების ჩატარებაში.

**— *თქვენი ინფორმაციით, სად წავიდა აღნიშნული თანხები?***

— ამაზეც გიპასუხებთ აუცილებლად. აქვე გეტყვით, რომ ამის პარალელურად, ბუ-



ნებრივია, კომუნიკაცია აწარმოა ჩვენთან ბიზნესასოციაციამ და თავის წერილში კვლავ დაადასტურა (მე უკვე 2013 წლის წერილებზე მაქვს საუბარი), რომ მათ ითანამშრომლეს აღნიშნულ სამინისტროებთან. ვისაც უნდა მიეცა მათთვის დევნილების სიები, ეს იყო ორი საკვანძო სამინისტრო: თავდაცვის სამინისტრო და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სამინისტრო, რომლებიც მიუთითებენ, რომ არათუ თანამშრომლობა, მონაცემებიც კი დაცული არ არის თანამშრომლობის ამ საკითხებთან დაკავშირებით. სწორედ ამ ბიზნესასოციაციიდან მიღებული წერილების საფუძველზე კი ჩანს შემდეგი: მათ ითანამშრომლეს აღნიშნულ სამინისტროებთან, მიიღეს ის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ლეგალურს გახდიდა დევნილებთან შემდგომ ურთიერთობას, რომ ამ ოჯახებს თანხები გადაეცათ საბანკო ანგარიშსწორებით, რომ საქველმოქმედო ვახშმის საორგანიზაციო მხარე დაჯდა ნახევარი მილიონი ლარი და პირდაპირ წერია, რომ სწორედ ერთი მილიონი ლარი გადაეცა დევნილ მოსახლეობას.

**— *თქვენი კვლევების თანახმად, გამოდის, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს?***

— ეს არის აბსოლუტურად შეუსაბამო და იმ პირველი ვერსიის უარმყოფელი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ. თუკი რომელიმე ამ სამინისტროს არანაირი სია არ გადაუცია, რომელი 400 ოჯახისთვის გადაცემულ თანხებზეა საუბარი?! ამიტომაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ეს დასკვნა და იმისთვის, რომ რაიმე სამართლებრივი მსვლელობა მიგვეცა საკითხისთვის, მაინც დავიტოვეთ იმედი, შესაძლებლობა, რომ იქნებ ბიზნესასოციაცია ამ ბევრ უზუსტობასა და ღია კითხვას გასცემდა პასუხს. ამიტომ მათ ჩვენ შევთავაზეთ, 2014 წლის 7 მაისამდე საკუთარ ოფიციალურ საჯარო ვებგვერდზე გამოექვეყნებინათ მილიონ ლარზე მეტი თანხის განკარგვის დანიშნულება და მიზნობრიობა, 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებული ოთხასამდე ოჯახის ნამდვილობა, აგრეთვე ეთქვათ საზოგადოებისთვის და ჩვენთვის, თანხის მიმღებთა გეოგრაფიული არეალი და შერჩევის წესი როგორი იყო, ასევე პასუხი გაეცათ იმ საკითხზე, რატომ იყო მათი ოფიციალური დოკუმენტაცია სამთავრობო უწყებებისაგან განსხვავებული.

**— *რა პასუხი მიიღეთ მათი მხრიდან?***

— პასუხი არ მიგვიღია. ბიზნესასოციაციის საზოგადოებასთან სამსახურის ხელმძღვანელმა მარიკა სპარსიაშვილმა ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემას განუცხადა, რომ ახალგაზრდა ადვოკატთა ბრალდებებზე ასოციაცია მოგვიანებით გააკეთებდა კომენტარს. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არ არის ბრალდებები, ეს არის ფაქტობრივი მასალა, რომლის ღია კითხვებსაც მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტაცია გააქარწყლებს. თუკი ასოციაცია 400-მდე ოჯახის სიას არ გამოაქვეყნებს, კი ბატონო, ასი ოჯახის სია გამოაქვეყნოს, შინაგანი რწმენისთვის ესეც საკმარისია. მათი არგუმენტები უნდა იყოს დამაჯერებელი.

**— *წინააღმდეგ შემთხვევაში?..***

— სხვა შემთხვევაში ჩვენ ვაპირებთ მაკონტროლებელი ორგანოს მიმართ მოქმედებების დაწყებას, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ადგილი შეიძლება ჰქონდეს მითვისებას ან გაფლანგვას. წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, ჩემი შეხედულებით, იმიტომ რომ ამ პროცესში, რასაც ჰქვია საქველმოქმედო ვახშმის მომზადება, ჩართული იყო არა მხოლოდ ბიზნესასოციაცია, არამედ მათ მიერ ოფიციალური განცხადების საფუძველზე, ასევე გენერალური სპონსორი იყო „საქართველოს ბანკი“, პლატინის სპონსორი იყო რუსთავის „აზოტი“, ოქროს სპონსორი — „მადნეული“ და „კვარციტი“, ხოლო ვერცხლის სპონსორი — „სილქროუდ ჯგუფი“. რას ნიშნავს მათი მხრიდან სპონსორობა? ნიშნავს თუ არა წინასწარ ამ ღონისძიებისთვის ამ კომპანიებიდან თანხების დადებასა და შემოსული თანხების შემდგომ უკან წაღებას. ეს არის უკვე გამოსაძიებელი თემა, მნიშვნელოვანი თემა, იმიტომ რომ ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია, თუ როგორ ცდილობდა წინა ხელისუფლება ბიზნესის ხარჯზე პოლიტიკური ღონისძიებების დაფინანსებასა და მომზადებას. არ არის გამორიცხული და ფაქტები პირდაპირ მიუთითებს, რომ „აგვისტოს 5 დღე“, საქველმოქმედო ღონისძიება — ვახშამი სწორედ ხელისუფლების მიზნებს ემსახურებოდა. სხვა მეტი ამოსავალი არგუმენტი და მსჯელობა აქ არ არსებობს! ბიზნესასოციაციის დუმილი ნიშნავს იმას, რომ ისინი ფიქრობენ, რა ფორმა შეიძლება მოძებნონ პასუხისთვის. თუ ფიქრობენ იმასაც, რომ საზოგადოება, მათ შორის „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ თემით აღარ დაინტერესდებიან, ერთხელ ითქვა და დასრულდა, ეს ასე არ იქნება.

**— *აპირებთ, ბოლომდე მიჰყვეთ?***

— აუცილებლად მივყვებით ბოლომდე. ბიზნესასოციაციას მოუწევს საზოგადოებისთვის იმის ახსნა, თუ სად წავიდა მილიონი ლარი, როგორ წავიდა, სად ნახეს დევნილთა სიები და ასე შემდგომ. როდესაც ჩვენი კვლევა გამოქვეყნდა, ეს გავუგზავნეთ ბიზნესასოციაციას, მათ შორის ხუთივე სამინისტროს გაცნობის მიზნით და რა გადამისამართებას მისცემს შს სამინისტრო ამ კვლევას, ეს უკვე საჯარო უწყების საკითხია. გეტყვით იმასაც, რომ ჯერ არც პროკურატურისთვის და არც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის გამოძიების დაწყების მოთხოვნით ჯერ ოფიციალურად არ მიგვიმართავს. გეტყვით იმასაც, რომ საკმაოდ საინტერესო იყო ამ ფილმის სპონსორის — კობა ნაყოფიას პოზიცია, რომელმაც განაცხადა, ამ ღონისძიების დროს მე სადღაც კუთხეში ვიჯექი და არ მახსოვს, რა თანხები დაიხარჯაო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა და როგორ შეიძლება, ფილმის ორგანიზატორმა არ იცოდეს, რა თანხები დაიხარჯა საქველმოქმედო ვახშმისთვის და შემდგომ შემოსული თანხები, დაპირებისამებრ, სად გადანაწილდა. კობა ნაყოფიას ვურჩევთ, დაინტერესდეს, სად წავიდა მის მიერ დაფინანსებული და გადაღებული ფილმის ჩვენებისას საქველმოქმედო ღონისძიებაზე შემოსული თანხები. მიზანს მოემსახურა?! მე მგონი — არა!

„ახალი თაობა“ შეეცადა, ოფიციალური კომენტარი მოეპოვებინა ბიზნესასოციაციიდანაც. დავუკავშირდით ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, თუმცა ვერ შევძელით მათგან რაიმე კომენტარის მიღება. ჩვენ ასევე ვესაუბრეთ კობა ნაყოფიას თანაშემწესაც, რომელიც დაგვპირდა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას გადასცემდა ბატონ კობას, თუმცა კომენტარს მათი მხრიდანაც ამაოდ ველოდეთ.

# ეროვნულმა კინოცენტრმა რჩეულები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა. რჩეულები ეროვნული კინოცენტრისა და „თიბისი ბანკის“ ერთობლივი კონკურსების გამარჯვებული პროექტები აღმოჩნდნენ. „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისში ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ნანა ჯანელიძისა და „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, მამუკა ხაზარაძის ერთობლივ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი 2014 წელს ეროვნული კინოცენტრისა და „თიბისი ბანკის“ ერთობლივი კინოკონკურსის — დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გამარჯვებული პროექტები.

სულ კონკურსების ფარგლებში 8 ფილმი დაფინანსდება. ეს ფილმებია: „როცა დედამიწა მსუბუქია“ სალომე მაჩაიძე, თამუნა ქარუმიძე, დავით მესხი; „ბერლინის ახალი კედელი“ თომა ჩაგელიშვილი; „დევნილი გემი ენგური“ ვახო ვარაზი; „მისტერ ჯონსონ“ თამარ მშვენიერაძე; „მექელეხე“ თორნიკე ბზიავა; „მე შენი შვილი“ თამარ შავგულიძე; „მამა“ დავით ფირცხალავა; „ტატიანა და ლილი“ ვახტანგ ჯაჯანიძე.

– 2014 წელს დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის წესით დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ფინანსური წვლილი შეიტანა „თიბისი ბანკმა“, რამაც გაზარდა ფილმწარმოების საკონკურსო ფონდი. ეს არის პირველი პრეცედენტი, როდესაც, სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად, კინოწარმოებაში ჩაერთო კერძო ბიზნესი. თიბისიმ კინოცენტრს ორი წლის წინაც გაუწია ფინანსური მხარდაჭერა და სამომავლოდაც გააგრძელებს კინოს მხარდაჭერას. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმის გამო, რომ მიგვაჩნია, კინემატოგრაფი საქართველოში ყოველთვის იყო მაღალ დონეზე. საქართველო იყო მსოფლიოში 5-6 კინომწარმოებელ ქვეყანას შორის. კინო არის ის ხელოვნება, სადაც გაერთიანებულია ხელოვნების უამრავი დარგი: მუსიკა, დრამატურგია, მსახიობები, რეჟისორები. ამიტომაც კინოს დაფინანსება ჩვენი მხრიდან არის მნიშვნელოვანი. ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული კინო საერთაშორისო კონკურსებზე იღებს პრიზებს და მნიშვნელოვან წინსვლას განიცდის, რომელსაც შეუძლია საქართველოს წარმოჩენა ქვეყნის საზღვრებს გარეთ. — აღნიშნა პრესკონფერენციაზე მამუკა ხაზარაძემ.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე:

— საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა „თიბისი ბანკთან“ ერთად მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კონკურსის გამარჯვებული ფილმის პროექტები დააჯილდოვა. კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ ყოველწლიურ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კონკურსებში სულ 80 პროექტი დარეგისტრირდა, თუმცა კინოცენტრისა და თიბისი ბან-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● გთავაზობთ რკინის კარებზე საიმედო ახალი საკეტების დაყენებას. სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ტელ: 279-90-68; 877-46-60-45. გელა.

● იყიდება მიწის ნაკვეთი შეკვეთილში, საუკეთესო ადგილზე, მირაჟის ტერიტორიაზე, ნაძვნარში, ზღვისპირიდან 70 მეტრში, 210 კვ.მ. 1 კვ.მ-ის ფასია 100 დოლარი. ტელ: 551-76-04-40.

● სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა, 55 კვ.მ (დუპლექსი), გამოდგება საოფისედ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტერენტი გრანელის ქუჩა. ტელ: 574-88-13-80 რაშიდი.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

# დინამომ ჩემპიონობა ისევ გადადო

## დინამო _ ჩიხურა 0:0

**თბილისი. დინამო არენა**

**დინამო:** ლორია, კვირკველია, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, ხურცილავა, ცინცაძე (ჯანელიძე 82), ძარია, გორგიაშვილი (პაპუნაშვილი 46), ჩისკო (მოდებაძე 64), მერებაშვილი, მარცვალაძე

**ჩიხურა**: სომხიშვილი, ჭელიძე, ჯიღაური (ლომია 87), ქიმაძე, გაბედავა, დათუნაიშვილი, ბეჭვაია, კაშია, ოდიკაძე, ხმალაძე, დეკანოიძე

ყველასგან მოულოდნელად ტურის ცენტრალური დაპირისპირება ნულოვანი ფრით დასრულდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, არცთუ ისე სანახაობრივი გამოდგა. 90 წუთის განმავლობაში გუნდებმა მცირე რაოდენობის რეალური მომენტები შექმნეს და თამაშიც ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა. მოკლედ, რომ ვთქვათ, „დინამომ“ ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და საკუთარ ჩემპიონობას უკვე ეჭვქვეშ აყენებს, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და უახლოეს მდევარ „ზესტაფონს“ დინამოელები მხოლოდ 4 ქულით უსწრებენ. „ჩიხურასთვის“ კი, ამ ფრეს არაფერი შეუცვლია საჩხერელები კვლავ მეოთხე პოზიციაზე იმყოფებიან და უახლოეს მდევარს 4 უსწრებენ.

**სოსო ფრუიძე:**

– ჩვენთვის, ფაქტობრივად, ეს ბოლო თამაშები თასის ფინალისთვის მოსამზადებელი პერიოდია. შეიძლებოდა მოგება, თუმცა აღვნიშნავ, რომ მეტოქესაც ჰქონდა საგოლე მომენტები. წინა თამაშებში ქულები დავკარგეთ და თბილისში არწაგება თავმოყვარეობის საქმე იყო.

**მალხაზ ჟვანია:**

– გუნდი, რომელსაც ჩემპიონობა სურს არ უნდა თამაშობდეს ისე, როგორც პირველ ტაიმში ვიასპარეზეთ. ზესტაფონთან შეხვედრამ დიდი ძალები წაგვართვა და ფეხბურთელებმა ეტყობა ველარ მოახერხეს აღდგენა, თუმცა ეს სულაც არ ამართლებს დღევანდელ შეხვედრას. მეორე ნახევარში გამოვასწორეთ თამაში, მაგრამ ვერ შევძელით დაწინაურება.

## გურია _ ზესტაფონი 0:5

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

**0:1 საბანაძე (23), 0:2 გეწაძე (28), 0:3 კაპანაძე (46), 0:4, 0:5 გეწაძე (56, 79)**

**გურია**: ხვედელიძე, ბერიანიძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი, ზარნაძე, ჭეიშვილი, ნ.კილაძე (ინგოროყვა 46), ე.კილაძე (ტეიდი 60), შენგელია, კვირტია (თოდაძე 74);

**ზესტაფონი**: პავლოვიჩი, გ.გურული, თ.ღონღაძე, ზ. ჭელიძე, თ.გრიგალაშვილი, ჭანტურიშვილი, შარიქაძე (ფანცულაია 67), დოლიძე, გეწაძე, კაპანაძე (კუხიანიძე 58), საბანაძე (ტატანაშვილი 60)

კვლავ იმარჯვა „ზესტაფონმა“ – იმერლები „გურიას“ ესტუმრნენ და სოლიდური ანგარიშით დაამარცხეს დასუსტებული მეტოქე.

მარგველებმა ანგარიშის გახსნა 23-ე წუთზე მოახერხეს, გოლის ავტორად ნიკოლოზ საბანაძე მოგვევლინა, გოლიდან 5 წუთში კი, ზესტაფონელთა უპირატესობა რევაზ გეწაძემ გაზარდა ორამდე. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა და გუნდები ამ შედეგით გავიდნენ შესვენებაზე.

გეგუჩაძის შეგირდებმა მესამე გოლის გატანა მეორე ტაიმის სტარტზევე მოახერხეს და მატჩის ბედიც გადაწყვიტეს, გოლი თორნიკე კაპანაძემ გაიტანა. „ზესტაფონი“ ამით არ დაკმაყოფილდა და კიდევ ორჯერ აიღო მეტოქის კარი, 56-ე და 79-ე წუთებზე რევაზ გეწაძემ გაიტანა, საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა და ჰეთრიკიც შეასრულა.

## მეტალურგი _ სიონი 2:0

**რუსთავი. ფოლადი**

**1:0 კილასონია (81), 2:0 კიტეიშვილი (90)**

**მეტალურგი:** სეფიაშვილი, საჯაია, დობროვოლსკი, სეთურიძე, ვკილასონია, ჩირგაძე, ხაბელაშვილი (ი.გოგინაშვილი 68), ცნობილაძე, ქავთარაძე, კაკაშვილი (კიტეიშვილი 75), მიქაბერიძე (გ.კილასონია 75)

**სიონი**: მერლანი, აბრამიძე, თოთაძე, ფოფხაძე, სამხარაძე (უგულავა 46), გოგობერიშვილი (მამასახლისი 84), აფციაური (განუგრავა 46), ლობჟანიძე, ადამია, კახელიშვილი

მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა ბოლნისის „სიონმა“, ქვემოქართლურ დერბიში ბოლნისელები 0:2 დამარცხდნენ და გამარჯვებათა სერიაც შეწყვიტეს. მატჩი დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო 10 წუთში გაირკვა. ანგარიში 81-ე წუთზე რუსთაველეთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა, ვარლამ კილასონიამ გახსნა, საბოლოო ანგარიში კი, 90-ე წუთზე ოთარ კიტეიშვილმა დააფიქსირა. ამ მარცხით ბოლნისელები ოთხი ქულით ჩამორჩნენ უშუალო კონკურენტ „ზესტაფონს“ და მეორე ადგილზე გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგეს.

# ლეგენდარული ქართველი ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე იუბილარია

„ხელბურთის პელედ“ წოდებული მოთამაშე 75 წლის შესრულდა! სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ჯემალ ცერცვაძეს სამინისტროში უმასპინძლა, იუბილე მიულოცა და „სპორტის რაინდის“ წოდება მიანიჭა.

ცერცვაძეს იუბილე მინისტრთან ერთად მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ მიულოცა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი – ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე და ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ მეიფარიანი.

ჯემალ ცერცვაძე 1958-72 წლებში თბილისის „ბურევესნიკში“ თამაშობდა, 1959-72 წლებში კი საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი გახლდათ. გამოარჩევდა ფენომენალური ტექნიკა, თავბრუდამხვევი ფინტები და მეტოქეთათვის ამოუცნობი ტყორცნები. 1967 წელს, შვედეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მას „ხელბურთის პელე“ შეარქვეს.

1962 და 1964 წლებში, „ბურევესტნიკში“ თამაშისას, ის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1965, 1966, 1967 წლებში ვერცხლის მედლებს დაეუფლა, 1963 წელს კი მესამე ადგილზე გავიდა. 1962-1971 წლებში ჯემალ ცერცვაძე ზედიზედ ათჯერ გახდა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი!

1964, 1967 და 1970 წლებში „ხელბურთის პელემ“ მსოფლიო ჩემპიონატებზე იასპარეზა, 1964 და 1967 წლებში ტურნირის ყველაზე ტექნიკურ ხელბურთელად აღიარეს, სამჯერ კი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. საერთო ჯამში, სსრკ ხელბურთელთა პირველ გუნდში 78-ჯერ ითამაშა და 276 გოლი გაიტანა!

ჯემალ ცერცვაძემ 1980 წელს, საბჭოთა კავშირში პირველმა, ოლიმპიური რეზერვების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა დააარსა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

# სპორტის სამინისტრომ ფეხბურთის განვითარების პროგრამა წარადგინა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით გუშინ სამინისტროში ჟურნალისტებს უმასპინძლა. ბეჭდური და ტელემედიის წარმომადგენლებს მინისტრის მოადგილეები აკაკი ლოდია და თამაზ თევზაძეც შეხვდნენ.

მინისტრმა სტუმრებს ქართული ფეხბურთის მართვის სამინისტროსეული ხედვა გააცნო და ჟურნალისტებს პროექტის მონახაზი წარუდგინა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება სახელმწიფო პროგრამა.

მინისტრის თქმით, პროექტი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და არც იმას აცხადებს, რომ სრულყოფილი და დასრულებულია.

**ლევან ყიფიანი:**

– პირველ რიგში, დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის – ქართული ფეხბურთის ყველა ჩვენგანის საყვარელი სპორტის სახეობაა და მიხარია, რომ მის გარშემო დაინტერესება კვლავაც დიდია. ჩვენ გთავაზობთ ქართული ფეხბურთის მართვის სამინისტროსეულ ხედვას. ხაზგასასმელია, რომ ეს ვარიანტი არაა საბოლოო და მასზე მუშაობა გრძელდება როგორც სამინისტროში, ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და კლუბებთან ერთად. მსურს კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ საქართველოს მთავრობის მზაობა დაეხმაროს ქართულ ფეხბურთს, სულაც არ ნიშნავს, რომ რამდენიმე მილიონი ლარის გამოყოფა უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ ხელისუფლებას უნდა წარვუდგინოთ ისეთი პროექტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი სამოქმედო გეგმა. მხოლოდ ამის შემდეგ დააფინანსებს სახელმწიფო ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამას.

მისივე თქმით, პროექტი მოიცავს საფეხბურთო ბაზების რეკონსტრუქციას, საფეხბურთო აკადემიების განვითარებას, საქართველოს ჩემპიონატის განვითარებას და საბოლოოდ მის კომერციალიზაციას, სამწვრთნელო და სამენეჯერო განათლებას და ა.შ.

პროექტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგა 10-გუნდიანი უნდა იყოს, მატჩები კი 4 წრედ ჩატარდეს, რომლის რაოდენობა, ჯამში, 36 თამაში გამოდის. რაც შეეხება პირველი ლიგას, 16 გუნდით უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც 2 წრედ ითამაშებენ და 30 შეხვედრა გაიმართება.

გუნდები, სასტარტო თანხის გარდა, მიიღებენ პრემიალურ თანხებსაც. სულ კი ფონდი 30 მილიონი ლარით არის განსაზღვრული. 17 მილიონი ლარი უმაღლესი ლიგისთვის გამოიყოფა, 7 მილიონი პირველი ლიგისთვის, ხოლო 6 მილიონი საფეხბურთო მენეჯმენტისა და საკლუბო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

თანხები ასე განაწილდება: ყოველი სეზონის დაწყებამდე გუნდებს გადაეცემათ 500.000 ლარი. შემდეგ კი, საქართველოს ჩემპიონი ბონუსის სახით მილიონ ლარს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული 700.000-ს, ხოლო მე-3 ადგილოსანი – 500.000-ს. თასის მფლობელი 200.000 ლარს გამოიმუშავებს, ხოლო ფინალისტი – 100000-ს. სუპერთასის მფლობელი 100.000 ლარს მიიღებს, ფინალისტი კი – 50000-ს.

რაც შეეხება პრემიალური თანხების გადანაწილებას, ის დაითვლება გუნდის მიერ დაგროვილი ქულები საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენს და პირველიდან მე-8 ადგილის ჩათვლით, გუნდები განვითარების ფონდიდან თანხის ხსენებულ პროცენტს მიიღებენ. ფულს მხოლოდ უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი ორი გუნდი არ მიიღებს.

ამით სამინისტროს პროექტი ამცირებს გარიგებული თამაშების ალბათობას.

პირველი ლიგის 16 გუნდიდან თითოეულის სასტარტო დაფინანსება სეზონის წინ 300.000 ლარი იქნება. პირველ ადგილზე გასული გუნდი დამატებით 300.000 ლარს მიიღებს, ხოლო მეორეადგილოსანი – 150.000-ს. დანარჩენი



გუნდები, გარდა პირველი ლიგიდან გავარდნილებისა, პრემიალურ თანხებს უმაღლესი ლიგის მსგავსად მიიღებენ.

მე-2 ლიგისთვის რომელიც სამოყვარულო იქნება, მუნიციპალური ბიუჯეტიდან წელიწადში 60.000-80.000 ლარი განისაზღვრება. სამაგიეროდ, მეორელიგელს პირველში გადასვლის სტიმული ექნება, რომ თავისი ბიუჯეტი კიდევ უფრო გაზარდოს.

პროექტის მიხედვით, კლუბების მიერ სასტარტო და პრემიალური თანხების განკარგვას კოლეგიალური საბჭო განახორციელებს, რომელშიც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები შევლენ. საბჭომ უნდა აკონტროლოს ფინანსების მართვის კონტროლი.

როგორც ირკვევა, 18 თვის განმავლობაში ფეხბურთისთვის სახელმწიფომ გამოყო 53,4 მილიონი ლარი. თუ რას მოხმარდა ეს თანხა, უცნობის. ფაქტია, არამიზნობრივად დაიხარჯა. ასევე გაირკვა, რომ ერთ-ერთ კლუბში (არ დაასახელეს) 91 თანამშრომელი ჰყავს, რომლისგანაც 22 არის ფეხბურთელი, ხოლო ხელფასს დანარჩენი 69 ადამიანიც ჩვეულებრივ იღებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თანხასთან არანაირი კავშირი არ აქვს ფეხბურთის ფედერაციას.

პროექტის მიხედვით, უნდა გაიზარდოს ბავშთა ფეხბურთის გეოგრაფია და თითოეულმა უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბმა მინიმუმ რეგიონის სამ სკოლაზე უნდა აიღოს შეფობა. სკოლების კატეგორიებად დაიყოფა და თითოეულს უნდა ჰყავდეს 13-წლამდელთა, 15-წლამდელთა და 17-წლამდელთა გუნდები. ამ კუთხით გამოყოფილი 6 მილიონი ლარი ზემოთ ავღნიშნეთ.

ეტაპობრივად კლუბებს ვალდებულებად დაეკისრებათ კერძო სექტორიდან სახსრები მოიძიონ. სახელმწიფო ამ კუთხითაც გაუწევს დახმარებასა თუ რეკომენდაციას. მე-5 წელს, როდესაც პროექტი დასრულდება, ყველა კლუბი კერძო უნდა გახდეს. თუმცა, სამინისტროში ფიქრობენ, რომ 5 წელი განვითარებისთვის საკმარისი არაა და ერთი ციკლის ამოწურვის შემდეგ, მომდევნო 5-წლიანი ციკლი უნდა იყოს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს საფეხბურთო განათლების მიღებას, მწვრთნელთა და მსაჯების მომზადებას.

ასევე ყველა კლუბი ვალდებული იქნება განაცხადში თავისი სკოლის აღსაზრდელები ჰყავდეთ. ადგილობრივ ფეხბურთელებად ისინი ჩაითვლებიან, ვინც 13-დან 19 წლის ასაკამდე 3 წლის განმავლობაში კლუბის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეს პროექტი აქამდე გაჟღერებული პროექტებიდან ყველაზე ოპტიმალური მოჩანს, თუმცა დახვეწას საჭიროებს და ამას არც სამინისტროში მალავენ.

# კალათბურთის ფედერაციამ მწვრთნელთა გადამზადების პროგრამა წარადგინა

მაისის ბოლოდან საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და მწვრთნელთა კავშირი მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის განხორციელებას იწყებს. თუ როგორი სისტემით ჩატარდება აღნიშნული პროგრამა, ამის შესახებ დღეს კალათბურთის ფედერაციისა და მწვრთნელთა კავშირის ხელმძღვანელებმა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაზე ისაუბრეს.

შეხვედრას მრავალი მწვრთნელი დაისწრო როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან. დამსწრეებს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი კახა შენგელია და გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი ირაკლი მაღლაკელიძე ესაუბრნენ. მწვრთნელებს არაერთი კითხვა ჰქონდათ, რომლებსაც ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამომწურავად უპასუხა და იმ დეტალებზე ისაუბრა, რომელიც გადამზადების პროგრამას ახლავს.

ლიცენზირების პროცესი 30 თვეს გასტანს, რომლის განმავლობაშიც, ნებისმიერ მწვრთნელს შეეძლება მასში მონაწილეობის მიღება. ლიცენზირება 3-ეტაპიანია. სუპერლიგის გუნდებში მუშაობის მსურველებს სამივე ეტაპის გავლა მოუწევთ, ხოლო თუკი მწვრთნელს მხოლოდ მინი კალათბურთში, ანაც გარკვეულ ასაკობრივ დონემდე სურს მუშაობა, შესაბამისად პირველი, ან მე-2 ეტაპის ლიცენზიაც საკმარისი იქნება.

ლიცენზიის მისაღებად ტესტირებებზე გასვლა არაა შეზღუდული. გამოცდები ჩატარდება ფიბა-ს მიერ შედგენილი სპეციალური პროგრამით, რადგან სწორედ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნაა, რომ მისი წევრი ქვეყნების მწვრთნელებმა აღნიშნული ტესტირებები გაიარონ და შესაბამისი ლიცენზიები მიიღონ.

პროგრამა 28 მაისს 1 ეტაპიდან დაიწყება. 5 დღის განმავლობაში მონაწილეებს ჩაუტარდებათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რის შემდეგაც გაიმართება ტესტირება. მორიგი სემინარები სექტემბრის თვეში გაიმართება და როგორც უკვე ალვნიშნეთ, პროგრამა 30 თვეს გასტანს და სემინარ-ტესტირებებს პერმანენტული ხასიათი ექნება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ასტონ ვილა ........................ 4:0

სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი ..... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 37 | 26 | 5 | 6 | 100-37 | 83 |
| 2.ლივერპული | 37 | 25 | 6 | 6 | 99-49 | 81 |
| 3.ჩელსი | 37 | 24 | 7 | 6 | 69-26 | 79 |
| 4.არსენალი | 37 | 23 | 7 | 7 | 66-41 | 76 |
| 5.ევერტონი | 37 | 20 | 9 | 8 | 59-39 | 69 |
| 6.ტოტენჰემი | 37 | 20 | 6 | 11 | 52-51 | 66 |
| 7.მანჩესტერი | 37 | 19 | 6 | 12 | 63-42 | 63 |
| 8.საუთჰემპტონი | 37 | 15 | 10 | 12 | 53-45 | 55 |
| 9.ნიუკასლი | 37 | 15 | 4 | 18 | 42-57 | 49 |
| 10.სტოკი | 37 | 12 | 11 | 14 | 43-51 | 47 |
| 11.კრ. პალასი | 37 | 13 | 5 | 19 | 31-46 | 44 |
| 12.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 7 | 19 | 40-49 | 40 |
| 13.სუონსი | 37 | 10 | 9 | 18 | 51-53 | 39 |
| 14.სანდერლენდი | 37 | 10 | 8 | 19 | 40-57 | 38 |
| 15.ასტონ ვილა | 37 | 10 | 8 | 19 | 39-58 | 38 |
| 16.ჰალი | 37 | 10 | 7 | 20 | 38-51 | 37 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 7 | 15 | 15 | 42-57 | 36 |
| 18.ნორვიჩი | 37 | 8 | 9 | 20 | 28-60 | 33 |
| 19.ფულემი | 37 | 9 | 4 | 24 | 38-83 | 31 |
| 20.კარდიფი | 37 | 7 | 9 | 21 | 31-72 | 30 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-რეალი .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 36 | 28 | 4 | 4 | 75-24 | 88 |
| 2.ბარსელონა | 36 | 27 | 4 | 5 | 99-32 | 85 |
| 3.რეალი | 36 | 26 | 55 | | 101-3584 | |
| 4.ბილბაო | 36 | 20 | 8 | 8 | 65-38 | 68 |
| 5.სევილია | 36 | 17 | 9 | 10 | 66-50 | 60 |
| 6.სოსიედადი | 36 | 16 | 10 | 10 | 60-52 | 58 |
| 7.ვილიარეალი | 36 | 15 | 8 | 13 | 54-43 | 53 |
| 8.ვალენსია | 36 | 12 | 10 | 14 | 49-50 | 46 |
| 9.სელტა | 36 | 13 | 7 | 16 | 46-52 | 46 |
| 10.ლევანტე | 36 | 11 | 12 | 13 | 33-42 | 45 |
| 11.რაიო | 36 | 13 | 4 | 19 | 45-74 | 43 |
| 12.ესპანიოლი | 36 | 11 | 8 | 17 | 39-47 | 41 |
| 13.მალაგა | 36 | 11 | 8 | 17 | 37-45 | 41 |
| 14.ელჩე | 36 | 9 | 12 | 15 | 29-47 | 39 |
| 15.გრანადა | 36 | 11 | 5 | 20 | 31-54 | 38 |
| 16.ვალიადოლიდი | 36 | 7 | 15 | 14 | 35-55 | 36 |
| 17.ხეტაფე | 36 | 9 | 9 | 18 | 32-53 | 36 |
| 18.ალმერია | 36 | 10 | 6 | 20 | 41-71 | 36 |
| 19.ოსასუნა | 36 | 9 | 8 | 19 | 29-60 | 35 |
| 20.ბეტისი | 36 | 5 | 7 | 24 | 31-73 | 22 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

მონაკო-გენგამი ............................ 1:1

პსჟ-რენი ...................................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 36 | 25 | 8 | 3 | 77-22 | 83 |
| 2.მონაკო | 36 | 22 | 10 | 4 | 60-29 | 76 |
| 3.ლილი | 36 | 19 | 11 | 6 | 41-22 | 68 |
| 4.სტ. ეტიენი | 36 | 18 | 9 | 9 | 50-32 | 63 |
| 5.ლიონი | 36 | 16 | 10 | 10 | 55-43 | 58 |
| 6.მარსელი | 36 | 15 | 11 | 10 | 51-39 | 56 |
| 7.ბორდო | 36 | 13 | 12 | 11 | 47-41 | 51 |
| 8.რეიმსი | 36 | 12 | 12 | 12 | 42-47 | 48 |
| 9.ლორიანი | 36 | 12 | 10 | 14 | 46-49 | 46 |
| 10.ტულუზა | 36 | 11 | 13 | 12 | 43-50 | 46 |
| 11.ნანტი | 36 | 12 | 9 | 15 | 37-40 | 45 |
| 12.ბასტია | 36 | 12 | 9 | 15 | 40-56 | 45 |
| 13.რენი | 36 | 10 | 13 | 13 | 43-42 | 43 |
| 14.მონპელიე | 36 | 8 | 18 | 10 | 45-47 | 42 |
| 15.ნიცა | 36 | 12 | 6 | 18 | 30-41 | 42 |
| 16.გენგამი | 36 | 10 | 9 | 17 | 32-41 | 39 |
| 17.ევიანი | 36 | 9 | 11 | 16 | 34-51 | 38 |
| 18.სოშო | 36 | 9 | 10 | 17 | 35-57 | 37 |
| 19.ვალანსიენი | 36 | 7 | 8 | 21 | 35-60 | 29 |
| 20.აიაჩო | 36 | 3 | 11 | 22 | 34-68 | 20 |

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

გრონინგენი-ვიტესი ...................... 1:0

ალკმაარი-ჰერენვენი .................... 3:0

### პორტუგალია. თასი

**ფინალი**

ბენფიკა-რიუ ავე ........................... 2:0

### ავსტრია. თასი

ჰორნი-ზალცბურგი ....................... 0:7

სტ.პოლენი-შტურმი ............... 1:0(დდ)

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პაოკი-ატრომიტოსი ...................... 3:0

ასტერასი-პანათინაიკოსი ............. 1:3

### დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-სონდერიისკე ................ 2:1

ნორდსიელანდი-ოლბორგი ........... 2:4

## კალათბურთი

### ნბა. პლეი ოფი

ინდიანა-ვაშინგტონი ................ 86:82

**სერიის ანგარიში: 1:1**

ოკლაჰომა-კლიპერსი ............. 112:101

**სერიის ანგარიში: 1:1**

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ფესტივალი ოქროს თვალი“ დაბრუნდა

ეკა ირემაშვილი

ორწლიანი პაუზის შემდეგ კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ დაბრუნდა. ღონისძიებას ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფონდი წელს უკვე მეოთხედ ჩაატარებს. ბოლო ფესტივალს ბათუმმა უმასპინძლა, წელს კი ის კვლავ თბილისს დაუბრუნდება.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ფესტივალზე ელოდებიან საპატიო სტუმრებს ჰოლივუდიდან, ჟიურის უცხოელ სტუმრებს, მსოფლიოში ცნობილ კინო ტელეოპერატორებს, ცნობილი ბრენდების წარმომადგენლებს. ღონისძიების ფარგლებში სემინარებსა და მასტერკლასებს ჩაატარებენ ტექნიკის მწარმოებელი წამყვანი კომპანიები, რომლებიც ფესტივალის მონაწილეებსაც დაასაჩუქრებენ.

– ამ ფესტივალის ფარგლებში უცხოელი სტუმრები ეცნობიან საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურასა და ტრადიციებს. ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც ფესტივალის სტუმრებს აქვთ შესაძლებლობა ნახონ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. „ოქროს თვალის“ სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ინტერესი ფესტივალის მიმართ ყოველწლიურად იზრდება და კონკურსანტებისა და მონაწილე ქვეყნების რიცხვი. – აცხადებს ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი ზურაბ გეგენავა.

წელს ფესტივალი 15-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის ივენთ ჰოლში გაიმართება. რჩეულებს ოთხ ძირითად ნომინაციაში საერთაშორისო ჟიური გამოავლენს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მთავარ პრიზს – გრანპრისაც გასცემს.

**ზურაბ გეგენავა, ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი:**

– წელს კვლავ განახლდება კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“. ჩვენ ორგანიზატორებს დაგეგმილი გვაქვს, რომ რიგით მეოთხე ფესტივალი თბილისში ჩავატაროთ. ფესტივალს ატარებს ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ფონდი. ჩვენთან ერთად არის კომპანია „სონი“ და მისი წარმომადგენელი ანდერი ანდრიანოვი. „სონი პროფეშენალ გრუპი“ არის 2014 წლის ფესტივალის ოფიციალური პარტნიორი. განაცხადების მიღება ფესტივალისთვის უკვე დაწყებულია და ველოდებით ყველას, ვისაც აქვს სურვილი „ოქროს თვალში“ მიიღოს მონაწილეობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წელს გარდა იმისა, რომ ფესტივალზე იქნება შეჯიბრებითობა, სხვადასხვა ქვეყნის ოპერატორები ოთხ ნომინაციაზე წარადგენენ თავის ნამუშევრებს და ჩატარდება პროფესიული ტექნიკის მწარმოებლების მიერ მასტერკლასები და სემინარებიც. ამ ფესტივალზე წელს გვსურს გაიმართოს გამოფენა იმ პროფესიული ტექნიკის მწარმოებელი ორგანიზაციებისა, ვინც საოპერატორო ტექნიკას აწარმოებს.

***– რატომ არ ჩაატარეთ ფესტივალი წინა ორი წლის განმავლობაში?***

– 2012 და 2013 წლებში ფესტივალი აღარ ჩატარებულა. იქიდან გამომდინარე, რომ ფესტივალი ტარდება ოქტომბერში, 2012 წლის ოქტომბერი საკმაოდ ცხელი იყო და ორგანიზატორებმა გადავწყვიტეთ, აგვეღო პაუზა და წელს განახლებული ფორმატით დავბრუნდით. 2013-შიც არჩევნებმა შეგვიშალა ხელი, ასე რომ პოლიტიკურმა მოტივმა დროებით შეაჩერა „ოქროს თვალი“.

***– გახდება ეს ფესტივალი ყოველწლიური?***

– ამ ეტაპზე არის ორი ვარიანტი ამ ფესტივალის განვითარებისა, ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ ყოველ წელს შემოდგომაზე ჩატარდეს, თუმცა განვიხილავთ, რომ ორ წელიწადში ერთხელაც ჩავატაროთ.

***– რას მიიღებენ გამარჯვებულები?***

– გამარჯვებულებს გადაეცემათ ფესტივალის სპეციალური პრიზი. „სონი“ არის ჩვენი გენერალური პარტნიორი და იმედს ვიტოვებთ, რომ ბევრი წამახალისებელი პრიზიც იქნება.




**ლევან კაცაძე, ფონდის აღმასრულებელი დირექტორი:**

– ოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ ჩვენი ფონდის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პროექტია. წლევანდელ ფესტივალზე არის სიახლეები. პირველი სიახლე არის საკონკურსო ნომინაციები. წლევანდელ ფესტივალზე იქნება ოთხი ძირითადი საკონკურსო ნომინაცია, ეს არის საუკეთესო კინოოპერატორული ნამუშევარი, ტელეოპერატორული ნამუშევარი, სარისკო კადრი, რომლითაც გვინდა წარმოვაჩინოთ ოპერატორების სიმამაცე, რადგან მათ უწევთ საკმაოდ რთულ და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში მუშაობა. ჩვენ ასევე შანსს ვაძლევთ ახალგაზრდა თაობას მიიღონ ამ ფესტივალში მონაწილეობა და წარმოაჩინონ საკუთარი თავი, ამიტომ მეოთხე ნომინაცია არის წლის საუკეთესო სტუდენტური ნამუშევარი. გვაქვს მეხუთე პრიზი, რომელიც არის გრანპრი და, თუკი ფესტივალის საერთაშორისო ჟიური ჩათვლის საჭიროდ, ფესტივალის რომელიმე მონაწილეს გადასცემს, თუმცა შეიძლება საერთოდაც არ გაიცეს.

***– ვის შეუძლია ამ ფესტივალში მონაწილეობა?***

– ყველას. მას შემდეგ, რაც კონკურსანტი გაივლის რეგისტრაციას ფესტივალის საიტზე, მან უნდა წარმოადგინოს თავისი ნამუშევარი საორგანიზაციო ჯგუფში, მას შეუძლია ეს ნამუშევარი მოიტანოს პირადად, გამოაგზავნოს ფოსტით ან ფესტივალის ვებგვერდზე ატვირთოს და მოგვაწოდოს გადმოსაწერი ბმული. წლევანდელ ფესტივალზე საკონკურსო ნამუშევრების ფორმატს და მატარებელს, რაზე იქნება ჩაწერილი, არ აქვს მნიშვნელობა. ყველა კონკურსანტი წარმოადგენს ნამუშევარს და საორგანიზაციო ჯგუფი მოახდენს მის გადაყვანას სასურველ ფორმატში. ფესტივალს აქვს საკუთარი ვებგვერდი, სადაც ნებისმიერ მსურველს, დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს და მიიღოს სრული ინფორმაცია ფესტივალთან და მასში მონაწილეობის პირობებთან დაკავშირებით. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, საორგანიზაციო ჯგუფი მზად არის მიიღოს მათგან კითხვები და ოპერატიულად და ამომწურავად გასცეს პასუხი. შეზღუდვა მონაწილეებს არ აქვთ, მხოლოდ უნდა მიუთითონ ნამუშევრის ქრონომეტრაჟი, რომელიც 90 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ ფესტივალზე ფასდება ოპერატორის ნამუშევარი და მისი გადაღების ტექნიკა და არა მთლიანად ფილმი, სიუჟეტი ან რეპორტაჟი. სხვა მხრივ კონკურსანტებს არ აქვთ არანაირი შეზღუდვა. ნამუშევრების შეფასება მოხდება ორ ეტაპად. ფესტივალის სელექციის ჟიური ნახავს აბსოლუტურად ყველა ნამუშევარს და გამოავლენს სამ ნომინანტს თითოეულ ნომინაციაში. შერჩეული ნამუშევრები შემდგომ უკვე განიხილება ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის მიერ. ფესტივალის ფარგლებში როგორც ყოველთვის ჩატარდება საგანმანათლებლო პროგრამებიც. ეს იქნება მწარმოებელი კომპანიების სონის, პანასონიკის, ფუჯის, ქენონის და მსოფლიოს სხვა წამყვანი კომპანიების წარმომადგენლების ჩამოსვლა საქართველოში და სემინარების და მასტერკლასების ჩატარება. ყველა დაინტერესებული პირისთვის გაიმართება ტექნიკის გამოფენა, სადაც მათ შეეძლებათ გაესაუბრონ ამ კომპანიების წარმომადგენლებს, დაუსვან კითხვები და დაათვალიერონ აღნიშნული კომპანიების ახალი პროდუქტები. ფესტივალის მესამე ნაწილი კი იქნება საკონკურსო ნამუშევრების ღია ჩვენება, სადაც ასევე ნებისმიერ მსურველს შეეძლება ნახოს სხვადასხვა ნომინაციებში წარდგენილი ნამუშევრები. საკონკურსო ნამუშევრების მიღება უკვე დავიწყეთ და 15 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

***– სად გაიმართება ფესტივალი?***

– ღონისძიება სამივე დღეს ჩატარდება თბილისი ივენთ ჰოლში 15 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით. 16 და 17 ოქტომბერს იქნება ღონისძიების გამოფენა და საკონკურსო ნამუშევრების ღია ჩვენება, ასევე მწარმოებელი კომპანიების პრეზენტაციები. 18 ოქტომბერს გაიმართება გამარჯვებულების გამოვლენის და ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია. მნიშვნელოვანი ნაწილი ფესტივალისა არის ის, რომ ჩვენთან ჩამოდიან სტუმრები ჰოლივუდიდან. ბოლო ფესტივალზე ჩვენ გვსტუმრობდნენ ტელეფილმ „ავატარის“ ოპერატორი და „ოსკარის“ აკადემიის წევრი. ჩვენ წელსაც გვეყოლებიან სტუმრები ჰოლივუდიდან, რომლებიც თავიანთ ცოდნას გაუზიარებენ საქართველოში მომუშავე ოპერატორებსა და ტელევიზიისა და კინოს სფეროში მომუშავე სხვა ადამიანებს.

***– ვის მოიწვევთ ჰოლივუდიდან?***

– ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკეები ჰოლივუდის ცნობილ წარმომადგენლებთან, ამიტომ ამ ეტაპზე წინასწარ ვერაფერს ვიტყვით.

***– ვინ იქნებიან ფესტივალის ჟიურიში?***

– ფესტივალის ჟიური ტრადიციულად შედგება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისგან, მათ შორის არიან აზერბაიჯანის, სომხეთის წარმომადგენლები, ასევე დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. თავმჯდომარე, რა თქმა უნდა, ქართველი იქნება. „ოქროს თვალი“ არის საერთაშორისო და ბოლო ფესტივალის პრაქტიკით, 22 ქვეყნიდან იყო წარმოდგენილი ნამუშევრები.

**ანდრეი ანდრიანოვი, „სონი პროფესიონალ სოლუშენს გრუპის“ წარმომადგენელი:**

– კომპანია „სონის“ წარმომადგენელი ვარ. ყველასთვის კარგად არის ცნობილი „სონის“ სხვადასხვა ტექნიკა და მისი შესაძლებლობები. „სონის“ ტექნიკა საყოფაცხოვრებოა, თუმცა მას აქვს მეორე მხარეც – პროფესიონალური მხარე, რომელიც აწარმოებს ტექნიკას ტელევიზიისთვის. ყველამ კარგად იცის, რომ „სონის“ კამერები საკმაოდ მაღალპროფესიონალურია. ჩვენ ასევე ვაწარმოებთ ვიდეოპროექტორებს, რომელიც კინოს გადასაღებად არის საჭირო და ვაწარმოებთ ტექნიკასაც ვიდეოკონფერენციებისთვის.

***– რატომ უჭერთ ამ ფესტივალს მხარს?***

– ერთადერთი პასუხი ამ კითხვაზე არის ის, რომ ოპერატორები ყოველთვის კადრს იქით რჩებიან, მაგრამ ქმნიან იმას, რასაც ჩვენ აღვიქვამთ. მუსიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც თავის ინსტრუმენტთან ერთად დგანან სცენაზე და მათ ყველა ხედავს, ოპერატორები არასდროს ჩანან და ხშირად მათი სახელებიც კი არ ვიცით. რაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ კინემატოგრაფი იქნება ეს თუ ტელეჟურნალისტის მუშაობა, ოპერატორი ის ადამიანია, რომელიც იღებს კადრებს და არასოდეს ჩანს. მიგვაჩნია, რომ ეს ფესტივალი უნიკალურია, რადგან მთელი ყურადღება ეთმობა ოპერატორის პროფესიას. ამ ფესტივალის საშუალებით გვაქვს სურვილი ჩავატაროთ ტექნიკური ღონისძიება, სადაც ჩვენი პროდუქცია იქნება წარმოდგენილი, ჩვენ ასევე ჩავატარებთ სემინარებსაც, რომელიც ყველასთვის იქნება საინტერესო, ვისაც კამერასთან აქვს შეხება. ჩვენ ასევე ვამზადებთ პრიზებს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ ფესტივალის გამარჯვებული გახდებიან.

# ეროვნულმა კინოცენტრმა რჩეულები დააჯილდოვა



დასაწყისი მე-8 გვერდზე

კის დაფინანსება 8 პროექტმა, 4-მა დოკუმენტურმა და 4-მა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა მიიღო. ამ კონკურსში რვაზე მეტი პროექტი იმსახურებდა ფინანსურ მხარდაჭერას. ნამდვილად გაცილებით მეტი პროექტია იმის ღირსი, რომ დაფინანსდეს, მაგრამ ჩვენი ძალიან მწირი დაფინანსების გამო მხოლოდ რვა პროექტი დაფინანსდა კონკურსში და ისიც არ იქნებოდა, რომ არა თიბისი დახმარება. მათი შემოხიდება ნიშნავს, რომ ორმა ან სამმა ახალგაზრდამ მიიღო შანსი, მეტი გააკეთონ და წარსდგნენ ჩვენ წინაშე. მადლობას ვუხდი თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მამუკა ხაზარაძეს. კინო კერძო ბიზნესისგან მეტ მხარდაჭერას მოელის, რადგან სახელმწიფო სუბსიდირება კინოს განვითარებისთვის არ არის საკმარისი. გაცილებით დიდია მოთხოვნა, ვიდრე ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ დავაკმაყოფილოთ. რას ვიზამთ, ასეთი მკაცრია რეალობა, „ჯუნგლების კანონში“ ვართ ამ შემთხვევაში.

თიბისი ბანკმა ეროვნულ კინოცენტრს კონკურსში გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად 100.000 ლარი გამოუყო, კინოცენტრმა კი კონკურსისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 280.000 ლარი გამოყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ გამარჯვებული პროექტების ავტორები, ასევე პროდიუსერები. პროდიუსერმა ზაზა რუსაძემ აღნიშნა:

– ეს არის მნიშვნელოვანი შემთხვევა, როცა კერძო ბიზნესი სახელმწიფოებრივად ფიქრობს. სახელმწიფო სრულად ვერ აცნობიერებს, რომ კინო არის კულტურული პოტენციალი. ამით ჩვენ სიგნალს ვაგზავნით, რომ კინო უნდა გახდეს პრიორიტეტული. მით უმეტეს, ბოლო წლების განმავლობაში, როცა თვალნათელია ის წარმატება, რომელსაც ქართველი კინემატოგრაფისტები აღწევენ.

პროექტში გამარჯვებული ქეთი დოლიძის შვილი, მსახიობი და რეჟისორი თორნიკე ბზიავაც გახდა მოკლემეტრაჟიანი ფილმის პროექტით „მექელეხე“. რეჟისორს უკვე გადაწყვეტილი აქვს, ვის დააკავებს ამ ფილმში. მთავარ როლებს მსახიობი თორნიკე გოგრიჭიანი და ქორეოგრაფიული კავშირის თავმჯდომარე რევაზ ჭანიშვილი შეასრულებენ.

– ეს პროექტი ცეკვის მასწავლებლის შესახებაა, რომელიც ეკონომიკური გაჭირვების გამო ქელეხებზე დადის და იქ იკვებება. ზოგადად ეს ხალხი, რომლებიც ქელეხებში დადიოდნენ და შემჩნეული არიან, ჩემთვის საინტერესონი არიან და სულ მინდოდა ამაზე ფილმის გაკეთება. წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრება არ აქვს და უცხო საზოგადოებაში შეუძლია გადააბიჯოს თავის თავს, უცხო საზოგადოებას შეერიოს, გარკვეული თვისებები შეძინოს და ისწავლოს იმისათვის, რომ გაუმკლავდეს ამ ყოფას. – ამბობს კონკურსის გამარჯვებული.

თამარ მშვენიერაძის „მისტერ ჯონსონ“ დოკუმენტური ფილმია, რომელიც თბილისში მცხოვრებ ნიგერიელებზეა. ავტორმა პროექტი „ლოკოკინა სტუდიოსა“ და პროდიუსერ ალექს კვატაშიძესთან ერთად მოამზადა:

– ამ ადამიანებს საქართველოს გავლით ევროპის ქვეყნებში გადასვლა სურდათ, თუმცა ვერ შეძლეს და საქართველოში საცხოვრებლად დარჩნენ. მათ ეგონათ, რომ ამ ქვეყანაში იპოვიდნენ მატარებელს, რომელიც ევროპის ქვეყნებში მიდის. საბოლოოდ კი აღმოჩნდნენ საქართველოში. ისინი დარჩნენ ამ ქვეყანაში, შექმნეს თავისი სამეფო, ჰყავთ მეფე, ჰყავთ დედოფალი და ძალიან ორგანიზებულად და საინტერესოდ ცხოვრობენ. ამ სამეფოში არის ძალიან ბევრი საინტერესო გმირი. „მისტერ ჯონსონი“ დოკუმენტური ფილმის მთავარი პერსონაჟია და ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ამ „სამეფოში“ ცხოვრობს, თან სხვა მცხოვრებლებთან შედარებით განსხვავებული შეხედულებები აქვს. ამ ორიგინალურ ისტორიას ჟურნალისტად მუშაობის დროს გავეცანი და გადავწყვიტე ამ თემისთვის დოკუმენტური ფილმი მიმეძღვნა. როგორც ხედავთ, კონკურსში გავიმარჯვე კინოცენტრის დაფინანსება 40.000 ლარიც მოვიპოვე. – აღნიშნა კონკურსის გამარჯვებულმა.

როგორც ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე ითქვა, გამარჯვებული ფილმის პროექტებზე მუშაობა 2014 წლის მაისიდან დაიწყება და წლის ბოლომდე დასრულდება.

## hჰჯცჲჯჰცბ ,

**შვეულად**: 1. უვიცი, უცოდინარი ადამიანი; 2. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 5. იტალიელი მოდელიორი; 9. სატყორცნი იარაღი მძლეოსნობაში; 10. ფართო, ხეივნიანი ქუჩა, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 14. წყლის შიში; 15. შემინული აივანი; 16. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 19. ზებუნებრივი ძალების რწმენა, იდუმალი რამ; 20. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი.

**თარაზულად**: 6. ორგანიზაციაში დესტრუქციული ქმედებისთვის შეგზავნილი პირი; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. მე-18 საუკუნის ფრანგი მოგზაური, ძვირფასი ქვებით მოვაჭრე; 12. კანადის დედაქალაქი; 13. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 17. ლატვიის ძველი სახელწოდება; 18. კურორტ კარლოვი-ვარის გერმანული სახელწოდება; 22. ძველბერძენი მოქანდაკე; 23. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 24. თვალის ექიმი; 25. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




**ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმჲტ.ყტ,ეჯბ hჰჯცჲჯჰცტ,ბც გფცეკტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიგვამი; 2. დიოგენი; 3. ალკენი; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. კია; 11. მაინცი; 15. მოლიერი; 16. ყომარი; 17. გონიო; 18. ფობია; 20. გინზა; 22. მახა.

**თარაზულად:** 6. იგრიკა; 8. შინშილა; 9. სარდელი; 10. ვახშამი; 12. ტანკი; 13. არაკი; 14. ბარიტონი; 19. ლალიძგა; 21. კორომი; 23. ოსუმი; 24. ჩიბუხი; 25. ტრუიზმი; 26. ბახთიარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რემისია; 2. ისტვუდი; 3. ელევატორი; 4. ოპიუმი; 5. გრივნა; 9. ჭუპრი; 10. ბროკერი; 14. ფორტეპიანო; 15. ტელევიზია; 16. მტრედი; 19. ზოდიაქო; 20. ილიადა; 21. ანკეტა.

**თარაზულად:** 6. სევასტოპოლი; 7. ტრაპერი; 8. ლიძავა; 11. პულმანი; 12. ოდერი; 13. პოლდერი; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ექსპერტი; 25. სალივანი.

# პუტინი ტაქტიკას ცვლის?

## რუსეთის ინტერვენციის საფრთხე კვლავ არსებობს! — აცხადებენ უკრაინელი დეპუტატები

— მოვუწოდებ უკრაინის ფედერალიზაციის მომხრეებს, გადადონ 11 მარტს დანიშნული რეფერენდუმი! — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა შვეიცარიელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ.

რუსეთის პრეზიდენტი თვლის, რომ 25 მაისს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში ვითარების სტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორია. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი აქამდე ამ არჩევნებს ფარსს უწოდებდა, ხოლო ახლა რუსეთის პრეზიდენტმა პოზიცია შეიცვალა.

— უკრაინის საზღვრებთან დისლოცირებული ჩვენი არმია მუდმივი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. — განაცხადა პუტინმა.

### რამ განაპირობა პუტინის განცხადება?

— უკრაინის ახალმა ხელისუფლებმა დაამტკიცეს, რომ ქვეყნის დაცვა ძალუძთ. ამან, პლუს საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლამ, შედეგი გამოიღო. —თვლის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

სხვა სპეციალისტები (როგორც უკრაინაში, ასევე მის გარეთ) ამას არ ეთანხმებიან. უკრაინის ახალი ხელისუფლება ჭრელი და არაერთგვაროვანია, არ წარმოადგენს ერთიან გუნდს. მასში გაერთიანებული არიან როგორც პატრიოტები, ასევე „ლიბერალი პრაგმატიკოსებიც“. რიგ საკითხებზე განსხვავებული ხედვები არსებობს, რაც დონბასში მიმდინარე პროცესებსაც შეეხება.

— ხელისუფლებაში არსებობს ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ დონბასის შენარჩუნება უკრაინისათვის პრიორიტეტი არ უნდა იყოს. — აცხადებს ექსპერტი ვადიმ კარასიოვი.

მართლაც, დონეცკში (ისევე, როგორც მთლიანად უკრაინაში) იანუკოვიჩის დროინდელი კადრები შენარჩუნდა. განაგრძობენ ფუნქციონირებას ბიზნესსტრუქტურები, რომელთაც ექსპრეზიდენტი მფარველობს. სწორედ ამ სტრუქტურებიდან ხდება ძალოვნების დაფინანსება, რამაც მოვლენების ტრაგიკული, სისხლიანი სცენარით განვითარება განაპირობა.

— ხაზინა ცარიელია. სახელმწიფოს საშუალება არა აქვს, ძალოვნებს მაღალი ხელფასი გადაუხადოს. ამ სტრუქტურებიდან კი მათ კარგად უხდიან. ამრიგად, შეიქმნა სავალალო ვითარება, არმია, უშიშროება და პოლიცია ფინანსდება არა ოფიციალური კიევის, არამედ რუსეთში გაქცეული ექსპრეზიდენტის მიერ. — თვლის უკრაინის ტელეკომპანია „მე-5 არხი“.

შედეგად, ძალოვნები მთლიანად პარალიზებულნი აღმოჩნდნენ. მათი ნაწილი მოსკოვზე მუშაობს, ნაწილი მომლოდინე პოზიციას ინარჩუნებს. მოსკოვმაც ასეთი ვითარება ოსტატურად გამოიყენა და უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსული დივერსიული ჯგუფები დამკვიდრდნენ.

— რუსული აგენტურა უკრაინაში მანამდეც ძალიან ძლიერი იყო. იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ ისინი კარგად შეაიარაღეს და აქტიურ დივერსიულ-ტერორისტული საქმიანობის გასაჩაღებლად მოამზადეს. — თვლის ჟურნალისტი დმიტრო ტიმჩუკი.

როგორც დონბასის მოვლენებმა გვიჩვენა, რუსი დივერსანტების შეიარაღებაშია ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, საზენიტო დანადგარები, ნაღმმტყორცნები. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ რუსულმა აგენტურამ ისიც მოახერხა, რომ ცალკეული უკრაინული ნაწილები სეპარატისტების მხარეს გადავიდნენ. ზოგიერთი უკრაინელი სამხედრო ბრძანების შესრულებაზე უარს აცხადებდა. შედეგად, სეპარატისტების შეიარაღება ტექნიკითა და ცოცხალი ძალითაც შეივსო. ამრიგად, ყველაფერი მზად იყო, რათა დონბასი და უკრაინის მთელი სამხრეთი (ოდესა, ახერსონი, ნიკოლაევი) უკრაინისაგან მოეწყვიტათ. პუტინის გეგმას წინ მხოლოდ უკრაინელი ნაციონალისტები, უწინარეს ყოვლისა კი „მემარჯვენე სექტორი“, აღუდგა. ბევრი ექსპერტი ამ ორგანიზაციას ზედმეტად სწორხაზოვან პოზიციაში ადანაშაულებდა. დონბასის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ეს ასე არაა . „მემარჯვენე სექტორმა“ პატრიოტულ იდეის გარშემო მოსახლეობის ფართო ნაწილის კონსოლიდაცია შეძლო. ოდესის მოვლენები ამისი ნათელი დადასტურებაა.

უკანასკნელი სოციოლოგიური მონაცემების თანახმად, უკრაინელთა 67 პროცენტი სეპარატისტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას მხარს უჭერს. ის, რომ ამ იდეას ყველაზე მეტი მხარდაჭერა ლვოვში (87 პროცენტი) და კიევში (83 პროცენტი) აქვს, არავინ გააოცა. ნამდვილ სენსაციად იქცა მისდამი მხარდაჭერა უკრაინის სამხრეთში (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი), სადაც სეპარატიზმის ძალისმიერი მეთოდებით ალაგმვას 62-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი, დნეპროპეტროვსკში 71-მა პროცენტმა, ზაპოროჟიკეში 68-მა, ხარკოვში 60-მა. ანტიტერორისტულ აქციას ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს დონეცკში (77 პროცენტი) და ლუგანსკში (80 პროცენტი).

— კრემლისათვის ეს ნამდვილი სენსაცია იყო. მოსკოვში მოელოდნენ, რომ დონეცკის, ლუგანსკის, სლავიანსკისა თუ სხვა ქალაქების აღების შემდეგ სეპარატისტებს მხარს მთელი აღმოსავლეთ-სამხრეთ უკრაინა დაუჭერდა, — იტყობინება „მე-5 არხი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში უკრაინელთა 44 პროცენტი მზადაა, საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა იარაღით ხელში დაიცვას. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, 8 მილიონ მოქალაქეს შეადგენს. ოდესის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მოსახლეობას აქვს უნარი ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდაც მოახდინოს თვითორგანიზაცია და ტერორისტებს საკადრისი პასუხი გასცეს. რუსული აგრესიის საფრთხემ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. დნეპროპეტროვსკში, კიევში, ზაპოროჟიესა თუ სხვაგან თავდაცვითი რაზმების შექმნა დაიწყო. მოსახლეობა თავისი ინიციატივით იარაღდებოდა, რათა ქვეყნის დამოუკიდებლობა დაეცვა.




— ჩვენი საზოგადოება მტერთან ბრძოლისათვის მზადაა. თუკი ხელისუფლება ქვეყნის დაცვას ვერ შეძლებს, ამას თავად ხალხი გააკეთებს. — თვლის იური შუხევიჩი.

ამრიგად ბლიც-კრიკი, რისი იმედიც მოსკოვში ჰქონდათ, ჩაიშალა. პუტინიც იძულებული გახდა, ტაქტიკა შეეცვალა და ეს უკრაინელთა პატრიოტიზმმა და ბრძოლისუნარიანობამ განაპირობა.

### ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდება

პუტინის გამოსვლამ გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. სლავიანსკში სროლებმა იკლო. ქალაქის ცენტრს კვლავ სეპარატისტები აკონტროლებენ, თუმცა მერიის თავზე რუსული დროშა უკვე აღარ ფრიალებს.

ბობოქარი მოვლენები განვითარდა მარიუპოლში. ადგილობრივმა პატრიოტებმა ქალაქის საბჭოს შენობიდან ტერორისტები განდევნეს. მარიუპოლში უკრაინული შინაგანი ჯარი შევიდა. ექსტრემისტების მცდელობას, მათთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, წარმატება არ მოჰყოლია. უკრაინის ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ თავდაცვის მინისტრი კუკუჯანოვი დააკავეს. მიუხედავად ამისა, ქალაქის საბჭოს შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

— შინაგანმა ჯარმა გაურკვეველ მიზეზთა გამო შენობა დატოვა. პრორუსული აქტივისტები უმალ შიგ შევარდნენ. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამან პატრიოტები აღაშფოთა. ისინი ქუჩაში გამოვიდნენ. მარიოპოლის ქალაქის საბჭოსთან ხელჩართული ბრძოლები გაიმართა. ბოლოს სეპარატისტებმა უკან დახევა იკადრეს და ქალაქის საბჭოს შენობა დატოვეს. მიუხედავად ამისა უკრაინელმა ძალოვნებმა მარიუპოლის გაწმენდა არ განახორციელეს, თუმცა შსს-ს მინისტრი ავაკოვი აცხადებდა, ქალაქს ტერორისტებისაგან აუცილებლად გავწმენდთო. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერც სხვა საკითხში გამოიჩინა პრინციპულობა. პრეზიდენტი ტურჩინოვი ამტკიცებდა, ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებო, თუმცა სინამდვილეში აღნიშნული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. შედეგად ტყვეობიდან „დონბასის სახალხო გუბერნატორი“ გუბარევი გაათავისუფლეს.

### ოდესა, პასუხგაუცემელი კითხვები

ოდესაში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მრავალი კითხვა წარმოშვა. უკრაინის უშიშროების სამსახურის ცნობით ოდესაში გადატრიალება მზადდებოდა. უნდა განმეორებულიყო ყირიმისა და დონეცკის სცენარი. როცა შეიარაღებული ტერორისტები ქალაქს დაიკავებდნენ, იქ „რეფერენდუმი“ უნდა ჩატარებულიყო, რომლის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი: მოსახლეობის 99 პროცენტი მხარს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას დაუჭერდა.

— უკრაინის უშიშროების სამსახურის ცნობით, ოდესის მილიციის პასიურობა შემთხვევით არ იყო. მილიციის ხელმძღვანელობის ნაწილი შეთქმულებაში მონაწილეობდა. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მალე ერთ-ერთი შეთქმულის გვარიც დასახელდა. ეს ოდესის ოლქის მილიციის უფროსის მოადგილე დიმიტრი ფუსიჯია. მან გაქცევა მოახერხა და ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზეა. 7 მაისს უკრაინელმა ძალოვნებმა სეპარატისტების ორი ლიდერი აიყვანეს. ვინ უჭერდა მათ მხარს ოდესის ოლქის ხელმძღვანელობიდან? მისწვდება თუ არა მათ უკრაინული მართლმსაჯულება? ეს კითხვები კვლავაც ღიად რჩება.

### პუტინი ცრუობს?

ტელეკომპანია „ინტერის“ ცნობით, 7 მაისს ტერორისტების ჯგუფი თავს დაესხა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების საზღვარზე დისლოცირებულ უკრაინელ სამხედროებს. თავდასხმა მოგერიებულ იქნა.

— პუტინმა იცრუა! რუსული არმია კვლავ ჩვენს საზღვრებთანაა. — განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ანდრეი პარუბიიმ.

აღნიშნული ინფორმაცია ნატოს წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. რუსეთის პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, რუსული არმია კვლავ უკრაინის საზღვრებთანაა. კიეველი ძალოვნების აზრით, ეს შემთხვევით არ ხდება. უკრაინის უშიშროების სამსახურის ცნობით, 9 მაისს უკრაინის მთელ ტერიტორიაზე მასობრივი ტერაქტები იგეგმება. დონეცკში პროვოკატორთა ჯგუფი მემარჯვენე სექტორის სახელით ვეტერანებზე თავდასხმას აპირებს. ამ დროს დაგეგმილია რამდენიმე ვეტერანის ლიკვიდაცია.

— დონეცკში სეპარატიზმმა ჯეროვანი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. თვით სლავიანსკის ბრძოლების შემდეგაც კი სეპარატისტთა აქციებში მონაწილეთა რიცხვი არ გაიზარდა. მასში სულ 10 000-მდე მოქალაქე მონაწილეობდა, ეს მაშინ, როცა მთელ დონბასში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს. რუსული სპეცსამსახურებიც ცდილობენ, ისეთი პროვოკაცია მოაწყონ, რომელსაც ხალხის აღშფოთება მოჰყვება. — თვლის უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეს დონიი.

ალბათ, ამიტომაა, რომ დონეცკსა თუ ლუგანსკში რეფერენდუმის ჩატარებისათვის აქტიური სამზადისი გრძელდება. უკვე დაბეჭდილია ბიულეტენები, 11 მაისს კი დონეცკში „დამკვირვებლების“ ჩამოსვლასაც მოელიან. უმრავლესობა მათგანი მოსკოვიდანაა. დონეცკში ჩასვლას აპირებენ აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთისა და დნესტრისპირეთის დელეგაციებიც. მოელიან სტუმრებს ევროპიდანაც. ესენია უნგრეთის, რუმინეთის, გერმანიის, საფრანგეთის ნეონაცისტური პარტიის წარმომადგენლები. ყირიმის „რეფერენდუმის“ დროს ევროპელი დამკვირვებლების რანგში სწორედ ისინი მოგვევლინენ. ახლა დონბასშიც იგივე უნდა გამეორდეს.

— პუტინი ცრუობს, როდესაც რეფერენდუმის გადადებაზე საუბრობს. სინამდვილეში ის უკრაინის „ამოყირავებას“ განაგრძობს. რუსული ინტერვენციის საფრთხეც რეალურია. — თვლის უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ლიაშკო.

7 მაისს უკრაინის უშიშროებამ საჯარო გახადა ლუგანსკელი ტერორისტების მეთაურის ბოლოტოვის (თავის დროზე მსახურობდა სადესანტო ჯარებში, მონაწილეობდა 9 აპრილს თბილისის სადამსჯელო ოპერაციაში) საუბარი რუსული ნაცისტური ორგანიზაციის „რუსული ერთობის“ წარმომადგენლებთან. ბოლოტოვი აცხადებს, რომ შექმნილ ვითარებაში რეფერენდუმის ჩატარება შეუძლებელია, თუმცა თანამოსაუბრე რუსი კოლეგა დაბეჯითებით მოუწოდებს, რათა ასეთი რეფერენდუმი მაინც ჩატარდეს. „ჩაწერეთ, რომ რუსეთთან შეერთებას მხარი 89 პროცენტმა დაუჭირა“. — არწმუნებდა მას რუსი ნაცისტი.

ამრიგად, პუტინის განცხადებები ერთია, რეალობა — მეორე. უკრაინაშიც დაპირისპირება გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

---

## „რუსეთის რიტორიკა ცივი ომის ბუნდოვან კლიშეებზეა დამყარებული“




რუსეთის რიტორიკა ცივი ომის ბუნდოვან კლიშეებზეა დამყარებული და მისი ქმედებები არ პასუხობს 21-ე საუკუნეში მიღებულ წესებს. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა პოლონეთში ვიზიტისას განაცხადა.

„რუსეთის უკანონო და არალეგიტიმური აგრესია უკრაინის წინააღმდეგ უდიდესი გამოწვევაა ევროპის უსაფრთხოებისთვის მრავალი თაობის განმავლობაში. ამიტომ ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენი მოკავშირეების დაცვას, პოლონეთის ჩათვლით“, — აღნიშნა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა. ამასთან, ანდერს ფოგ რასმუსენმა მოუწოდა რუსეთს, მოახდინოს უკრაინის კრიზისის დეესკალაცია, შეწყვიტოს სეპარატისტებისთვის მხარდაჭერა და გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინის საზღვრებიდან.

გერმანიის „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ — კანცლერ ანგელა მერკელის მოკავშირე — წევრმა ელმარ ბრუკმა „დი ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე „მართებული იქნება აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ჯარები მუდმივად იყოს განთავსებული“.

ბრუკის თქმით, „სანდო შეკავება აუცილებელია, თუ პუტინი მის აგრესიულ პოლიტიკაზე უარს არ იტყვის“.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

---

## მოსწავლეებს ანტინარკოტიკული კამპანია და ე.წ. ბიოს“ წინააღმდეგ მიღებული კანონი გააცნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში, ვ. კომაროვის სახელობის თბილისის 199-ე საჯარო სკოლის მოსწავლებს შეხვდნენ და სამინისტროს მიერ ე.წ. „ბიო“-ს წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის მიზანსა და მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. მათ მოზარდებს განუმარტეს, რომ კამპანიის მიზანი ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და საზოგადოების ინფორმირებაა, ხოლო სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“. შსს-ს წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში გადაღებული საინფორმაციო ვიდეორგოლებიც უჩვენეს, რომლებშიც სხვადასხვა პროფილის ექიმები ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეებზე საუბრობენ. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მოზარდებს ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შექმნილი კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ გააცნეს, რომელიც 1 მაისიდან შევიდა ძალაში. შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსმა სოფო კილაძემ მოსწავლეებს განუმარტა, რომ აღნიშნული კანონის თანახმად, იკრძალება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა ან უკანონოდ გატანა, შესაბამისად, მსგავსი ქმედება სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

**ნიუსპრესი**

---

## TV პროგრამა

### პარასკევი 9 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღის" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "სპექტაკლის დრო" — "ჩემი პატარა ქალაქი" **17.00** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** **19.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** ქართ. მხ/ფ **"ჯარისკაცის მამა"** **01.10** "დღის" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩ)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩ) **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.50 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე"** 7 სერ. **22.00** თოქ შოუ — რეაქცია **00.00** მხ/ფ **"ბანქო" ფული და ორი ლულა"** (ჯ.ფლემინგი) **02.00** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"** (ე.ჯადი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** საქართველო - ჩვენი სამშობლო **10.50** სახლი ღვთისა **11.05** ისტორიის გაკვეთილი **11.35** დ/ფ "კაპელანი" **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. **"მიხა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **15.30** კონცერტი "პოლიფონია **2014 17.00** ცვრიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ **"ღმერთის ბიჭები"** **20.45** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ. **"მზრდელი"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "ჩემი შვილები"** **12.30, 13.02, 1.20, 4.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00, 4.20** "ყოველდღიური ამბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე **19.02** **სერიალი "თანამარჯობა"** **20.00, 2.50, 6.55** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, 5.15** ბრძოლა წესების გარეშე **0.15, 3.20** **სერიალი**

ghjuhfvt,b
b,tzlt,f cffutynj
3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 maisi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7605

ევრო — 2.4522

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9867

100 რუსული რუბლი — 4.9596

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისთვის






## ნანა ჯორჯაძე ქართულ ღვინოზე ფილმს იღებს

ქართველი კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე ქართულ ღვინოზე დოკუმენტურ ფილმს იღებს. პროექტი ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება და ის ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვისაა განკუთვნილი. 35-სერიანი შემეცნებით-დოკუმენტური ფილმის ავტორი და წამყვანი ქართული ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანია. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა, შალვა ხეცურიანმა, რეჟისორმა ნანა ჯორჯაძემ, ასოციაცია „ქართული ღვინის" აღმასრულებელმა დირექტორმა თინა კეზელმა და სცენარისტმა თამარ ბართაიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ფილმთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრეს.

– ეს ფილმი გახდება ქართული ღვინის სავიზიტო ბარათი როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მაყურებლისთვის. მასში მოთხრობილი იქნება ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურაზე, მსოფლიოს წამყვან ღვინის ქვეყნებზე. ფილმის სერიები მიეძღვნება ღვინის წარმოების 8.000 წლიან ისტორიას, ღვინის დაყენებას და მის ნაირსახეობებს, ღვინის დეგუსტაციის წესებს, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის მთავარ რეგიონებს, წამყვან ჯიშებს, მარნებს, მეღვინეებს. ასევე სპეციალური სერია დაეთმობა ქართულ გასტრონომიას, უნიკალურ კერძებსა და მათ შეხამებას ღვინოებთან. – განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა. ფილმის სცენარისტია თამარ ბართაია, კონსულტანტები კი ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და ღვინის სპეციალისტები. ფილმის შექმნაში აქტიური წვლილი შეაქვს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. პროექტის მხარდამჭერები არიან ასევე ასოციაცია „ქართული ღვინო", საქართველოს სომელიეთა ასოციაცია და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი".

ეკა ირემაშვილი

.ღტჯფვ უფბსღფჯბცრობყცს=

fcnhjghjuyjpb 9 მაისისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, მეტი გექნებათ. **კირჩხიბი** – პატარა სადარდებელი მალე ჩაივლის, დაგავიწყდებათ. **ლომი** – სახლში დიდი სიხარული და საჩუქარი გელით. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – გზიდან ფული მოდის, მალე საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თხის რქა** – ძვირფას საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **მერწყული** – საღამო მშვენიერი იქნება, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გიხარიათ.

უბცე3ღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

## h3xცღx3ლბ ფ



**შვეულად**: 1. ჩეჩნეთის მეორე სახელწოდება; 2. რიგითი მეზღვაური; 3., ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 4. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 5. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 7. ფულის ერთეული რუმინეთში; 11. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 15. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 16. ქართველი მგოსანი; 17. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 20. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 22. გემის სიჩქარისა და განვლილი მანძილის გასაზომი ხელსაწყო.

**თარაზულად**: 6. ქართველი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 8. ისტორიული მოედანი პარიზში; 9. თეატრი ლონდონში, სადაც შექსპირის ტრაგედიები იდგმებოდა; 10. მრავალმხრივი ცოდნის მქონე ადამიანი; 12. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. იორდანიის დედაქალაქი; 14. ოპერა „აიდას" პერსონაჟი; 19. სპორტსმენთათვის აკრძალული მასტიმულირებელი პრეპარატი; 21. უხმოდ სიცილი; 23. ჩინური ფინიკი; 24. ცხენის მოსართავი; 25. ტკივილის შეგრძნების უნარის დაკარგვა; 26. სახელმწიფო ორგანოების მიერ გატარებული დამსჯელი ქმედება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანებს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

10 მაისს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანებს ვარსკვლავს საზეიმო ვითარებაში გაუხსნიან. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს კულტურის პალატაა. ვარსკვლავის გახსნამდე კი დიდ საკონცერტო დარბაზში ორსაათიანი კონცერტი გაიმართება, რომელსაც ჯემალ სეფიაშვილმა უკვე უწოდა „საუკუნის კონცერტი". ეს იდეა საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარეს დავით ოქიტაშვილს ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებით საღამოზე გაუჩნდა, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა. ეს ინფორმაცია ჯანსუღ ჩარკვიანისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. კულტურის პალატის ინიციატივამ დამსწრე საზოგადოებაში კი ოვაცია და დიდი სიხარული გამოიწვია.



პოეტმა აღნიშნა:

– ახალგაზრდების სასახლეში შეხვედრა მქონდა, ჩემს ლექსებს კითხულობდნენ და იქ განაცხადა დავით ოქიტაშვილმა, რომ 10 მაისს გაიხსნება ჩემი და მამუკა ჩარკვიანის ვარსკვლავი, რაც ჩემთვის სიურპრიზი იყო. მამუკას და სხვებს უამრავი სიმღერა აქვთ დაწერილი ჩემს ლექსებზე, რომლებიც ფილარმონიაში გამოვლენ და იმღერებენ, მაგრამ, მე არ ვიცოდი, თუ ჩემს 150 ლექსზე იყო დაწერილი სიმღერა. ძალიან გამიხარდა, მთელი ცხოვრება ვამბობდი, ვარსკვლავი ცაშია და მიწაზე, რომ გაგიხსნიან ვარსკვლავს, ცოტა ზედმეტია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ გამახარეს.

მამუკა ჩარკვიანისთვის ეს სრული შოკი იყო. ამჟამად აქტიური მზადება მიდის. 10 მაისს დაგეგმილ კონცერტზე 20-მდე სიმღერა შესრულდება, რომლებსაც მსმენელისთვის თამრიკო ჭოხონელიძე, მაია ჯაბუა, ირმა სოხაძე, ეკა მამალაძე, მარიკა ქაცარავა, სოფო გელოვანი, მერაბ სეფაშვილი, დათო გომართელი, გიო ხუციშვილი, დათუნა სირბილაძე, ტრიო „სიმი", „თეატრალური კვარტეტი", ლაშა ღლონტი, ანსამბლები „მუხამბაზი", „ქართული ხმები" ააჟღერებენ. ამ საღამოს დაუკრავს პიანისტი ირმა გიგანიც. რუსეთში მოღვაწე მომღერალი თემურ თათარაშვილი კი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში ამ კონცერტისთვის. რა თქმა უნდა, იმღერებს მამუკა ჩარკვიანიც, ძველ და კარგად ნაცნობ ჰიტებთან ერთად ის ასევე შეასრულებს ახალ სიმღერას, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შექმნა. საზეიმო საღამოს მუსიკალურ მხარეზე ნია ბახტაძემ იზრუნა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ კონცერტი 2 საათს გაგრძელდება.

როგორც ორგანიზატორებმა განმარტეს, მთლიანობაში ჯანსუღ ჩარკვიანის 150 ლექსზეა შექმნილი სიმღერები, ამიტომ მათ ძალიან გაუჭირდათ არჩევანის გაკეთება. ნუნუ გაბუნია, ჯემალ სეფიაშვილი, გურამ ბზვანელი, ნუნუ დულაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გია ყანჩელი, მაცაცო სებისკვერაძე, ვახტანგ კახიძე, ალექსანდრე ბასილაია, მერი დავითაშვილი, გია ყანჩელი – ეს იმ კომპოზიტორთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე მუსიკა შექმნეს. რამდენიმე წლის წინ გამოიცა კომპაქტდისკი „ერთხელ ამამღერე – სიმღერები ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე", რომელშიც პოეტის შემოქმედებაზე შექმნილი სიმღერების ორი დისკი გაერთიანდა.

– როცა გამოკითხვა ჩავატარეთ და დავთვალეთ ის სიმღერები, რომლებიც ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე იყო დაწერილი, გავოცდით. 150-ზე მეტი სიმღერა არცერთი პოეტის ლექსზე არ არის დაწერილი, თან მათი უმეტესობა ჰიტია. ფილარმონიის ტერიტორიაზე ბევრი კომპოზიტორისა და მომღერლის ვარსკვლავია გახსნილი, რომელთა პოპულარობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ზუსტად ბატონი ჯანსუღის ლექსებზე დაწერილი სიმღერებია. ამიტომ, ჩვენ მას ვუხსნით ვარსკვლავს არა როგორც პოეტს, არამედ, როგორც სიმღერების ტექსტების ავტორს. სამწუხაროდ, ყველა სიმღერის გაჟღერებას ვერ შევძლებთ, მაგრამ, გული რომ არავის დასწყდეს, კონცერტის ბოლოსთვის სიმღერების კოლაჟს გავაკეთებთ. – აღნიშნა საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარე დავით ოქიტაშვილმა.

## რუსთაველის თეატრმა შექსპირის იუბილე აღნიშნა

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრმა შექსპირის დაბადებიდან 450 წლის იუბილე საერთაშორისო კონფერენციით აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრმა და ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექსპირის შემსწავლელმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა სხვადასხვა ღონისძიებები დაგეგმეს.

– შექსპირის დაბადებიდან 450 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე იმუშავა რამდენიმე თემატურმა სექციამ შექსპირის გავლენა შემდგომი ეპოქის ინგლისურ ლიტერატურაზე; შექსპირის გავლენა სხვა ქვეყნების ლიტერატურაზე; შექსპირი თეატრსა და კინოში; ქართული შექსპირიანა (თარგმანები, კვლევა, თეატრალური ხორცშესხმა); შექსპირის სწავლების პრობლემები და გამოცდილება. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ქართული შექსპირიანას ამსახველი გამოფენა და მრგვალი მაგიდაც. თეატრის ფოიეში გაიხსნა გამოფენა „შექსპირის დადგმის ისტორია რუსთაველის თეატრში". საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ასევე ჩატარდა სესია რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში და მოეწყო ვიდეოჩვენება შექსპირის „ქარიშხალი", რომლის რეჟისორიც რობერტ სტურუაა. – განაცხადა რუსთაველის თეატრის წარმომადგენელმა ია შერაზადიშვილმა.

## ესტერ სტამი: საქართველოს სახელით ოლიმპიადაზე უნდა მოვხვდე!"

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების ღირსებას საკმაოდ გამოცდილი და ტიტულიანი ჰოლანდიელი სპორტსმენი ესტერ სტამი დაიცავს. ეჭვგარეშეა, რომ ტიტების ქვეყნის წარმომადგენელი ჩვენს ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე დიდ დახმარებას გაუწევს. მას მოგებული აქვს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი (პარიზი, 2003), არის ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში და არაერთი მსოფლიო თასისა და გრანპრის გათამაშების გამარჯვებული.

ესტერ სტამი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც სტუმრობდა, დაათვალიერა სეოკ-ის მუზეუმი და ვიცეპრეზიდენტ მამუკა ხაბარელს შეხვდა.



ესტერ სტამი:

– თბილისი ლამაზი ქალაქია, ხალხიც – ძალზე სტუმართმოყვარე. დარწმუნებული ვარ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომ საქართველოს სახელით ასპარეზობას დავთანხმდი. თქვენი ძიუდოს სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. მართალია, ქალთა გუნდი შედარებით მოიკოჭლებს, მაგრამ არიან ნიჭიერი ძიუდოისტები და ვეცდები ჩემი გამოცდილება გავუზიარო. ჰოლანდიაში უდიდესი კონკურენციაა, განსაკუთრებით ჩემს წონით კატეგორიაში (70კგ), სადაც მსოფლიოს რეიტინგის ლიდერი კიმ პოლინი ასპარეზობს. ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის, რატომაც გადავწყვიტე სხვა ქვეყნის დროშით ქვეშ გამოვსულიყავი. იმედი მაქვს, ტატამზე საქართველოს სახელით ასპარეზობის უფლებას მალე შევძლებ. მთავარი მიზანი კი, რა თქმა უნდა, 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაა. **მ. ქ.**


